საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი 30 იანვარი, 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ქალაქგარეთ 3 მანეთი. განცხადების ფასი მეოთხე გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. პირველ გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ხელთ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 22 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 22

დატანჯული და უბედური მამა ივანე, ღრმად დამწუხრებული და გულდამწვარი ძმები: გიორგი და ვასილი, დები მარგარიტა, ანასტასია და პელაგია, სიძე ალექსანდრე ჩიჩუა და მეუღლე მისი ლიზა კაჭარავას ასული ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობ-მოყვარეთ, რომ ულმობელმა სიკვდილმა გამოგვტაცა ჩვენი და სასოება

ნინო (მინიკო) კაჭარავას ასული

მიცვალებულს გაასვენებენ თფილისიდან ახალ-სენაკში ხუთშაბათს, 29 იანვარს დღის 4 საათზე. პარასკევს ახალსენაკში იქნება გადახდილი პანაშვიდი, რის შემდეგ დასაფლავება მოხდება სენაკის დედათა მონასტრის სასაფლაოზე. აქ, თფილისში გასვენებამდე პანაშვიდი ყოველდღე 4 საათ. (გრომის ქ № 5, საკ. სახლი. (322 3—3)

ნავთლუღის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გაგრის ფრონტზე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გვარდიელი

ილია ანტონის ძე შანშიაშვილი

რომლის დაკრძალვა დანიშნულია შაბათს 31 ამა იანვარს ნაძალადევის ძმათა სასაფლაოზე. ცხედრის გამოსვენება სახალხო გვარდიის საავადმყოფოდან (პეტრე დიდის ქ.) დღის 12 საათზე. (ნ. 1—1)

ნავთლუღის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობებს, რომ შაბათს, 31 ამა იანვარს დღის 12 საათზე დანიშნულია დაკრძალვა ნაძალადევის ძმათა სასაფლაოზე ავადმყოფობით გარდაცვალებული გვარდიელის

ვლადიმერ კიკალეიშვილის

ცხედრის გამოსვენება სახალხო გვარდიის საავადმყოფოდან (პეტრე დიდის ქუჩა) (ნ. 1—1)

გულდამწვარი მშობლები: აგრაფინა თავაძისა და სოლომონ თავაძე (ობოლი მუშა) აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხან მოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი შვილი

კაკი

დაკრძალვა შაბათს, 31 იანვარს შუა დღის 3 საათ. გუდაულის ქუჩ. № 48. დიდუბის სასაფლაოზე. (345—2—1)

გულდამწვარი დეიდები: კატო სარალიძე, ლარია გადახაძე, სალომე არიაშიძე, ბიძინები: დათიკო სარალიძე და სევერიანე არიაშიძე, გამდელნი ტასო და პავლე ოფხაზოვები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი

კაკი თავაძე

გამოსვენება და დასაფლავება დანიშნულია 31 იანვარს შუადღის 3 საათზე (გუდაულის ქუჩ. № 48) დიდუბის სასაფლაოზე. (342 2—1)

სახელმწიფო კონტროლის მოხელენი გულითადი მწუხარებით თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვალებული ამხანაგის რევიზორის თანაშემწის

ნოე კონსტანტინეს ძე კანდელაკის

ნათესავ მეგობართ. დაკრძალვა განსვენებულისა დანიშნულია ქალ. ლანჩხუთში 31 იანვარს. (349—2—1)

ქუთაისი, ს.-დემოკრატიულ კლუბში

საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციების ცენტრალურ კომიტეტის წევრები ამხანაგები შ. დუდუჩავა და დ. ყიასაშვილი წაიკითხავენ

მოხსენებებს 1. შ. დუდუჩავა: ფილოსოფიური მატერიალიზმი
2. დ. ყიასაშვილი: ისტორიული მატერიალიზმი.

მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე. (უფ. 1—1)

შაბათს, 31 იანვარს, დღისით 12 საათზე, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, (ბარიატინსკის ქუჩ., № 5) დანიშნულია ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების

წევრთა წლიური კრება

საგანი კრებისა: საზოგადოების მოქმედების ანგარიშის განხილვა და საკითხი საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ. (344 1—1)

ექიმი ირაკლიონ ამბროსის ძე

ცეხანოვსკი

ირონი ქუჩა საკ. სახლი № 28 ვერნ-
ლოვის ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან.
მოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს
ქსის, შარდის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს (606—914)
ღებზე: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და
ენტებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს
—5 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს.
(თ.—3423)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

ღებულობს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ. —თ.)

საჭიროა კონსტიტუცია

მალე წელიწადი შესრულდება დამფუძნებელ კრებას. მისი მთავარი დანიშნულება—კონსტიტუციის შემუშავება კი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

ამას წინეთ იყო მხოლოდ გამოქვეყნებული პროექტი კონსტიტუციისა, რომელიც არ შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს. მისი დათავება კი ერთი აუცილებელი და საჩქაროთ განსახორციელებელი მოთხოვნილებაა ჩვენი მიმდინარე ცხოვრების.

მართალია, კონსტიტუციის ტექსტის შემუშავება არ წარმოადგენს უმთავრეს საქმეს კონსტიტუციურ წყობილების დამყარებისათვის. მართალია დაწერილი ნორმა ფარატინა ქაღალდათ იქცევა, თუ რეალური ძალთა განწყობილება და ხალხის იურიდიული შეგნება არ ეთანხმება იმას, რასაც აღნიშნავს კონსტიტუციის მუხლები.

მაგრამ არც შემუშავებული კონსტიტუცია შეიძლება ჩავთვალოთ სრულიად უმნიშვნელო ფაქტორათ საზოგადოებრივ ცხოვრების მოწესრიგებაში. დამუშავებული ნორმა თუ ერთი მხრით ემყარება არსებულ ურთიერთობას მეორე მხრივ თვით აძლევს მას გარკვეულ სახეს, თავისებურ გამოხატულებას, უჩვენებს ფორმას ამ განწყობილებათა ჩამოყალიბებისა და ამით თავის მხრივ ერთგვარათ უსახავს მიზანს და გზას საზოგადოებრივ მისწრაფებებს.

დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების შემდეგ კონსტიტუციის შექმნა განსაკუთრებით იქცევა მიუცილებელ მორიგ საკითხათ.

საერთაშორისო ოჯახში შესვლა—გვაძლევს ერთგვარ მოვალეობას, თავის კონსტიტუციით, ფორმით, სახით სავსებით გავხდეთ მსგავსი მოწყობილ, დალაგებულ სახელმწიფოების, რომელთაც აქვთ ერთგვარათ დამყარებული წესრიგი და რომელთა ცხოვრება თავისუფალია რევოლიუციის ხანაში აუცილებელი რყევისა და გაურკვევლობისაგან.

დამოუკიდებელ რესპუბლიკას აღარ შეუძლია იცხოვროს დღე-ხვალიობით, ფაქტიდან ფაქტამდე, ერთი თქვას დღეს—მეორე ხვალ, იგი უნდა იჩენდეს თავის პოლიტიკურ გზას, მტკიცეთ და შეურყეველს.

ამის მოცემა კი შეუძლია კონსტიტუციას.

მეორე მხრივ დღეს თითქმის სრულიად ჩამოშორებულია ის პოლიტიკური მოტივები, რომელნიც დღემდე ასე თუ ისე ჰბოჭავდა ჩვენი ერის ნამდვილი ნებისყოფის გამოჩინებას. გავლენა გარეშე ძალის, იძულება მის წინაშე დათმობის და სხვა ,იყო მიზეზი იმის, რომ ჩვენ ხშირად არ შეგვეძლო მიგვეღო და გაგვეტარებია ის, რაც ჩვენის ღრმა რწმენით საჭირო და აუცილებელია ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის, ამასთანავე არც გვსურდა გვეტარებია ის, რაც ვერც შინ დააკმაყოფილებდა არსებულ სოციალურ ძალთა განწყობილებას, ვერც საგარეო საქმეში მოგვიტანდა საგრძნობელ სარგებლობას.

კონსტიტუციის შემუშავება — ჩვენ გვინდოდა, უაღრესად თავისუფალი და დამოუკიდებელი ყოფილიყო, რომ ამ ძირითად დებულებაში, რომელმაც უნდა მისცეს საფუძველი და გეზი მომავალ სახელმწიფოებრივ შემოქმედებას, დაუდვას ერთგვარი ფარგალი და განსაზღვროს მთავარი მიმართულება მომავალ პოლიტიკის, სავსებით გამოეხატა მისწრაფება, წყურვილი, და სოციალური იდეალები ჩვენი დემოკრატიის.

ჩვენ გვგონია, რომ დღეს ამ მხრივ საკმაოთ ხელსაყრელ პირობებში ვიმყოფებით. საქართველოს ხალხი უკვე გრძნობს, რომ იგი თავის თავს ეკუთვნის, რომ მისი მომავლის გამჭედი თვით მისი შინაგანი ძალთა განწყობილებაა. ამით ფსიხოლოგიური ნიადაგი გაბედულ და დამოუკიდებელ ნაბიჯებისათვის უკვე მზათაა.

ჩვენ დღეს შეგვიძლია შევქმნათ კონსტიტუცია მხოლოდ ჩვენის ხალხის მოსაწონათ და დასაკმაყოფილებლათ, და არა გარეშე ძალების.

ჩვენ შეგვიძლია მივაქციოთ მთავარი ყურადღება და ანგარიშში გავუწიოთ შინაგან ურთიერთობას და არა გარეშე დამოკიდებულებას.

საქართველოს დემოკრატიის რიგი და რიგი გამარჯვებანი უფლებამოსილს ხდიან მას შექმნას ძირითადი საფუძვლები თავის ცხოვრებისა სახედ და ხატად თვისად.

კონსტიტუციის შემუშავებას ხელს უშლიდა კიდევ ერთი გარემოება. ეს ძლიერი რევოლიუციური ტალღების ტრიალი. ცვალებადობა საზოგადოებრივ ურთიერთობისა მეტათ ცუდი ნიადაგია ხანგრძლივი ხასიათის დაწესებულებათა შესაქმნელათ. დღეს რევოლიუციურ პიდილიდან უკვე ნათლათ ისახება ამომავალ, გამარჯვებულ ძალთა გრანდიოზული ფიგურა, ესაა ფიგურა დემოკრატიისა, მუშათა კლასის მეთაურობით. სამის წლის განუწყვეტელი ბრძოლით მან მიიღო საერთო ცნობა შეგემოსილის ყველა შინაგან ძალთაგან და გარეშეთა წინაშეც განამტკიცა ურთიერთობა რესპუბლიკის, რომლის სათავეში იგი მოაქცია რევოლიუციის ქარიშხლის ქროლამ. დღეს ფაქტია, რომ მისი ბატონობა წუთიერი, სწრაფ—წარმავალი, უდღეური არ არის, იგი შექმნილია არა შემთხვევითი, მოხდენილი დაკვრით, არამედ ღრმა და ხანგრძლივი სოციალური მუშაობით, საფუძვლიანი რევოლიუციური მოღვაწეობით და ნაყოფი მისი გამარჯვებისა—შედეგია დიდი ხნით მოსამზადებ ცვლილებებისა საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაში.

ამ რიგათ ჩვენი ცხოვრება უკვე დგება მკაფიოდ გამოხატულ დემოკრატიულ ურთიერთობის კალაპოტში. და დროა იგი საკონსტიტუციო ნორმებში იქნეს ჩამოსხმული.

კონსტიტუციის შემუშავება უნდა დაჩქარებულ იქნეს, რომ ამით დაგვირგვინდეს გამარჯვებათა ბრწყინვალე რიგი, რომელიც დემოკრატიამ მოიხვეჭა თავის ბრძოლით, სისხლით და შეგნებით.

დამფუძნებელი კრების წლის თავი უნდა აღნიშნულ იქნეს მის მთავარ სამუშაოს დაგვირგვინებით. ჩვენ მივაქცევთ აქეთკენ დამფ. კრების ფრაქციათა ყურადღებას.

პრესა

„თარბაისელი" გაზეთი „საქართველო" სამწერლო ეთიკას გვიწუნებს და ბრალს გვდებს, ვითომ ჩვენ პრესას სათანადო პატივით არ ვეპყრობოდეთ.

ცნობილია, რომ ყველაზე უფრო ხმა მაღლა და ყველაზე უფრო ხშირათ უმანკოებაზე და ზნეობაზე ლაპარაკობს როსკიპი ქალი. ამიტომ არც კი უნდა გვაკვირვებდეს თუ იმავე წერილში, სადაც „საქართველო" სამწერლო ეთიკას გვიწუნებს, ჩვენს შესახებ ასეთ სიტყვებს ხმარობს: „ქუჩური ლექსიკონი და მდაბალი გულისთქმა", „ქვენური დემაგოგია და გახრწნილება", „რედაქციიდან ყურით უნდა გათრიო და ქუჩის ლაზღანდარათა თავშესაფარში ბინა მიუჩინო". „ურცხვი და ყოველივე სიფაქიზეს მოკლებული", „ბრიყვი და უტიფარი", „მეწვრილმანეების ურცხვობა და ცინიზმი, ტაციობა და ლორმუცლობა", „ჩაფუნთუშებული ლოყები და ძვირფასი კრაველი", „ბანკირებისა და ბურჟუაზიის ნასუფრალით მუცელ ავსილი და ჩაცმულ-დახურული" და სხვა მრავალი ასეთი. თან კიდევ იმუქრება: „გირჩევნიათ ქვეიანათ იყოთ და ენაზე კლიტე დაიდვათო".

ასეთი ფაქიზი ენით სწერენ ჩვენზე თფილისის ვაჭარ-მრეწველთა ფულით „საქართველოს" თავშიშველი ბავშვები და თან „სამწერლო ეთიკაზე" მოსთქვამენ!

მოდი და ნუ მოიგონებ იმ როსკიპ ქალს, რომელიც მუდამ უმანკოებაზე ლაპარაკობს.

„საქართველომ" რომ სხვა ენით სწეროდეს ჩვენ, რასაკვირველია, თავს შეურაცხყოფილათ ვიგრძნობდით, მარა როცა სპეკულიანტების ნაძარცვი გროშებით ამას სწერენ—ეს ჩვენ სრულიადაც არ გვაწუხებს.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ „საქართველო" სისტემატიურათ სიცრუეს ბეჭდავს მიწათ-მოქმედების სამინისტროს შესახებ, და იქამდის მიდის, რომ აშკარა სიყალბესაც არ ერიდებათქო, რაიცა გამოიხატა, სხვათა შორის, იმაში, რომ მან დასწერა—თითქოს აგრარულ რეფორმის გატარებაზე ასეული მილიონი დახარჯულიყოს. ახლა, მეხუთე დღეს, „საქართველო" აცხადებს, რომ ეს „კორექტურული შეცდომა იყოსო" და ასწორებს ასე: უნდა ყოფილიყო არა ასეული, არამედ ათეული მილიონიო. გაპატიებთ დაგვიანებას, მარა „ათეული მილიონიც" ხომ სიყალბეა!? აგრარულ რეფორმაზე რომ ჯერ კიდევ სამი მილიონიც არ დახარჯულა—ეს ხომ ფაქტია, და რატომ გინდათ რომ „სამი" „ათეულათ" აქციოთ?

რაც შეეხება „საქართველოს" ყოყლოჩინობას „გამბედაობაზე და საპარლამენტო წესების შეგნებაზე"—ეს მხოლოდ ღიმილს თუ გამოიწვევს, თორემ სერიოზულათ აბა ვინ დაიჯერებს, რომ სპეკულიანტების ორგანოს უფრო ესმის და შეგნებული აქვს „საპარლამენტო წესები", ვინემ ჩვენ...

ომი და საფრანგეთის ფინანსები.

საერთაშორისო ომმა დიდი გავლენა იქონია საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობაზე. მან სავსებით შესცვალა ის როლი, რომელსაც თამაშობდა საფრანგეთი საერთაშორისო ფინანსიურ ბაზარზე. თუ ომამდის საფრანგეთი მეტოქეობას უწევდა ინგლისს, საერთაშორისო კრედიტორის როლში, ეხლა თვითონ საფრანგეთი გადაიქცა უმთავრეს სახელმწიფოების დებიტორათ, და მისი ფინანსიური მდგომარეობა ისე გამწვავებულია, რომ მას მალე ფინანსიური კატასტროფა მოელის, თუ სულ მოკლე ხანში მას დახმარება არ გაუწიეს ომიდან გამდიდრებულმა ქვეყნებმა. და მართლაც დღეს ერთი ლოზუნგი ისმის მთელ საფრანგეთში. ესაა—გარეშე სესხი. მთავრობამ დიდი ზომები მიიღო ამის განსახორციელებლათ. მან გაგზავნა ეკონომიური დელეგაცია ამერიკაში შრეიდერის მეთაურობით, მაგრამ შრეიდერის მისსია ვერ დამთავრდა გამარჯვებით უფრო. ნაყოფიერი იყო კლემანსოს წასვლა ლონდონში, სადაც მას შეპირდენ სესხს, რომლის პირობები ჯერ არ არის შემუშავებული. საფრანგეთი იძულებული გახდა მიემართა სესხისთვის ისპანიისათვის, რომელმაც მხოლოდ 35 მილიონი პეზეტ მისცა. მასთანვე მისი საგარეო ვაჭრობა არა ხელსაყრელი გახდა.

შემდეგი ცხრილი გვიხატავს სურათს მის საგარეო ვაჭრობისას:

შემოზიდვა:	სამრეწველო საქონელი	6 000 440 ათასი ფრანკი.
	ნედლი მასალა	8 836 881 "
	გამზადებული საქონელი	5 840 041 "
	სულ	20 778 863 ათასი ფრანკი.
გაზიდვა:	სამრეწველო საქონელი	577 745 ათასი ფრანკი.
	ნედლი მასალა	918 286 "
	გამზადებული საქონელი	2 939 394 "
	სხვა და სხვა	375 127 "
	სულ	4 810 452 ათასი ფრანკი.

მაშასადამე საგარეო ვაჭრობის დეფიციტი უდრის თითქმის 16 მილიარდს. ამ მდგომარეობამ ძალიან დასცა ფრანკის კურსი. თუ ომამდის ფრანკი მეორე ვალუტებს ეჯიბრებოდა და თავის სიმაგრით ბაზარზე სჯობნიდა, ეხლა ის „ყავარჯენზე დადის", როგორც თვითონ ფრანგები ლაპარაკობენ. საფრანგეთს ესაჭიროება სესხი არა თუ სახელმწიფო ხარჯების დასაფარავათ, არამედ საგარეო ვაჭრობის წარმოებისათვის.

ამ მდგომარეობაზე მიიყვანა საფრანგეთი იმ უზარმაზარმა ხარჯმა, რომელიც მან გასწია ომის წარმოებისათვის.

შემდეგი ცხრილი გვაჩვენებს ჩვენ რა ხარჯები გასწია საფრანგეთმა 1914—1918 წლების განმავლობაში:

წლები.	სამხედრო ხარჯები ათასი ფრანკები.	ჩვეულებრივი სესხები.	სამოქალაქო ხარჯები.	სულ.
1914 (5 თვე)	6.750.095	604.038	993.614	8 347 746
1915	18.455.407	1 899 393	2 449.686	22.804 487
1916	27.240.404	3.333 019	2 371.725	32 945.145
1917	34 065.809	4 863 686	2 750.104	41.679 599
1918	45.070.623	7.087.678	8 401 882	55.560.183
სულ	131.582.338	17.787 811	11 967.011	161.337.160

მაშასადამე ამ ხნის განმავლობაში სამხედრო ხარჯები შეადგენდა 80 პროცენტზე მეტს მთელი ხარჯებისა.

131 ნახ. მილიარდი ფრანკი წაყლაპა საშინელმა ომმა. ეს უზარმაზარი ქონება სულ ტყუილა იყო დაფანტული, და გასაკვირალი არ არის, რომ საფრანგეთი ფინანსიურ კატასტროფამდე მივიდა. უფრო საინტერესოა შემდეგი ცხრილი, რომელიც ჩვენ გვიჩვენებს, თუ რა წყაროებიდან დაფარა საფრანგეთმა ეს უზარმაზარი ხარჯები:

წლები.	გადასახადები.	კონსოლ. სესხი. ათასი ფრანკები.	მოკლე ვადიანი სესხი.	მიმდინარე სესხი, სახელმწიფო ბონები.	საფრანგეთის ბანკის ავანსები.	სულ.
1914	1.885 702	—	—	1 118.332	3 900 000	6.903.984
1915	8.770 517	10 867.000	1 510.884	5.998.203	1 175.000	23.421 604
1916	4.640.812	10 719.836	5.580 287	5.457.621	2 450 000	28.848 506
1917	5.811 273	7 669 521	11 812.165	7.616.117	5.060.000	37 969.076
1918	6.438 608	23 364 337	7.292.532	3 559 449	4.780.000	45 435 126
	22 547 112	52.720.694	26.195.768	23.749.722	17 365 000	142 578 296

მაშასადამე მთელი ომი საფრანგეთმა აწარმოვა სესხებით სხვადასხვა სახით და მხოლოდ 15 პროც. მთელი რესურსებისა შეადგენს გადასახადები. მაშასადამე 85 პროც. ყველა ხარჯებისა იყო დაფარული არა ნორმალურ წყაროებიდან, როგორიც არის სხვადასხვა სახის სესხი. ამ მხრივ საფრანგეთის ფინანსიური პოლიტიკა ძალიან განსხვავდებოდა ინგლისის პოლიტიკიდან, რომელმაც თავისი ხარჯები დაფარა უმთავრესათ სხვა ნორმალური წყაროებიდან, როგორიც არის გადასახადები და სხვა.

საფრანგეთს ომამდისაც პირველი ადგილი ეჭირა სახელმწიფო ვალის სფეროში. და ეს ადგილი მას შერჩა. შემდეგი ცხრილი გვაჩვენებს თუ რას უდრის საფრანგეთის სახელმწიფო ვალი. 1919 წელს მისი ვალი უდრიდა 180 533 642 689. სარგებელს იხდის—6.973.377.845 ფრ.

ამ რიგათ საფრანგეთის სახელმწიფო ვალი გაიზარდა 34 მილიარდიდან 180 ნახევარ მილიარდამდის ანუ 5-ჯერ მეტათ. რაოდენობა გადასახდელ სარგებელ პროცენტებისა 1 მილიარდიდან 7 მილიარდამდის, მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ომამდის საფრანგეთს სპეციალური გარეშე ვალი არ ჰქონდა, ეხლა კი ეს გარეშე ვალი უდრის თითქმის 27 მილიარდს და გადასახადი სარგებელი ამაზე 1.400 მილიონს, და ყველა ეს გარეშე ვალი არის ვადიანი ან მიმდინარე, რომლის გადახდა შეიძლება ახლო მომავალში უნდა მოხდეს. ეს გარემოება უფრო ამწვავებს საფრანგეთის ფინანსიურ მდგომარეობას, რადგან ახლო მომავალში შეუძლებელია ეკონომიური და ფინანსიური ღონისძიებები საფრანგეთის, რომ მან შეძლოს ვალის გადახდა. პირიქით მას გაუჭირდება სარგებლის გადახდაც კი თუ მივიღებთ მხედველობაში ფრან-

დღეს

„დეილი ექსპრესის" თქმით, თუ ჰოლანდია უარს იტყვის ვილჰელმის გაცემაზე, მაშინ მას მოსთხოვენ იმის გარანტიას, რომ ყოფილი კაიზერი ჰოლანდიიდან არსად გაიქცევა.

ფრანგული პრესის ცნობით საფრანგეთის განახლებულ ჯარში სამხედრო ბეგრის შემცირების ვადა თანდათანობით იქნება გატარებული.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს მიერ დაარსებული ბიურო დანიშნულია საფრანგეთისა და გერმანიის ვალების მოწესრიგება.

მოსკოვის მუშათა საბჭოების დეპუტატთა და პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების ყრილობაზე ტროცკიმ ილაპარაკა შრომის ბეგარის აუცილებლობის შესახებ.

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარმა ცხარე ბრძოლის შემდეგ როსტოვის რაიონში უკან დაახევინა მოხალისეებს სადგურ ბატაისკისაკენ.

კის დაცემულ კურსს. რაოდენობა სახელმწიფო ვალის თითო სულზე ომამდის შეადგენდა დაახლოვებით 1000 ფრანკს. ეხლა კი 5000 ფრანკზე მეტს.

თითონ სამხედრო ვალის რაოდენობა თითო სულზე უდრის 114 სტერლინგს, და ამ შემთხვევაში საფრანგეთს მესამე ალაგი უჭირავს, როგორც ეს სჩანს შემდეგი ცხრილიდან.

რაოდენობა სამხედრო ვალის თითო სულზე:

ინგლისი . .	157	ნაბ. სტერლინგი
გერმანია . .	128	„
საფრანგეთი .	114	„
ავსტ.-უნგრ. .	89	„
ბელგია . .	74	„
იტალია . .	73	„
შეერთ.-შტატ.	55	„
იაპონია . .	— 3 შლინგი 2 ნაბ. პენსი.	

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საფრანგეთის ხალხის სიმდიდრე გაცილებით ნაკლებია ინგლისისა და გერმანიისა და აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ ყველაზე უფრო დაზარალებული ამ ომში საფრანგეთი გამოდგა, მაშინ დავინახავთ, რომ ეს ვალი აუტანელი ტვირთია სახელმწიფოსთვის. საინტერესოა, აგრეთვე საფრანგეთის ქაღალდის ფულის ტირაჟის მდგომარეობა.

მართალია, ოქროს რაოდენობა ომის განმავლობაში თითქმის და საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან თითონ საფრანგეთის ბანკში მისი რაოდენობა დევს, და ეს გადიდება აიხსნება მით, რომ საფრანგეთის ბანკი თავის ბალანსში თვლის ფონდათ „ოქროს საზღვარ გარეთ". ეს „ოქრო საზღვარ გარეთ" უდრის დაახლოვებით 2 მილლიარდ ფრანკს და რომელიც სესხით იყო შეძენილი. დიდია აგრეთვე რაოდენობა ვერცხლის ფონდისა, რომელიც აიხსნება იმ გარემოებით, რომ აღმოსავლეთით 6 კვირაში საფრანგეთი თავის ბალანსს სადღაც ხურავს ვერცხლით. რაც შეეხება ქაღალდის ფულის ტირაჟს, ის თითქმის 5 სამმეოთხედჯერ გაიზარდა. ასეთია ფინანსიური მდგომარეობა საფრანგეთის—მდგომარეობა მეტად მწვავე, რომელიც ემუქრება კატასტროფას. რა საშუალებით ფიქრობს საფრანგეთი გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან? რა ლოზუნგები ბატონობენ იქ ამ სფეროში? პირველი და უმთავრესი ზომა—ეკონომიური ბალანსის გასწორება და აღდგენა. შრომა, შრომა, და შრომა—აი ლეიტმოტივი, რომელიც ისმის მთელ საფრანგეთში. მხოლოდ შრომას შეუძლია შექმნას ახალი ღირებულება, ახალი სიმდიდრე. და ფინანსიური მდგომარეობა, როგორც გამომხატველი სახალხო მეურნეობის მდგომარეობისა შეიცვლება მასთან ერთად. მაშასადამე პირველი და უმთავრესი მიზანი—შრომის ნაყოფიერების გადიდება. მხოლოდ მას შემდეგ, როცა შრომა შექმნის ახალ სიმდიდრეს, შეიძლება ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს აზრი არის გაბატონებული მთელ საფრანგეთში. საქმიან წრეებში დიდს იმედებს არ ამყარებენ გერმანიის კონტრიბუციაზე. ეს წრეები დარწმუნდენ, რომ გერმანიიდან კონტრიბუციის აღება და ამაზე დამყარება სახელმწიფოს ეკონომიურ და ფინანსიურ აღორძინებისა, შემცდარი აზრია, და შეუძლებელიც. მრეწველობის აღდგენაზე დიდი ზომები არის მიღებული. საკმარისია ვთქვათ, რომ ამა 1919—20 წლის ბიუჯეტში გადადებულია ათი მილიარდი მრეწველობის აღსადგენათ.

მეორე ლოზუნგი—გადასახადების გადიდება და გარეშე სესხი.

მხოლოდ ახლა გრძნობს საფრანგეთი თუ რა ცუდი და ყალბი ფინანსიური პოლიტიკა აწარმოვა მან ომის განმავლობაში, რომ თითქმის 80 პროცენტზე მეტი ომის ხარჯებისა დაფარა სესხით. ამისათვის, ახლა დიდი ყურადღება არის მიქცეული ამ გადასახადების გადიდებაზე და აგრეთვე ახალი ფინანსიური წყაროების გამონახვაზე.

მაგრამ ყველაზე უფრო საჭიროა გარეშე სესხი. თუ ამ მოკლე ხანში საფრანგეთმა ვერ იშოვნა გარეშე სესხი, შესაძლებელია დიდი არევ დარევა გარეშე სესხი უმთავრესათ საჭიროა საგარეო ვაჭრობის წარმოებისთვის, მასთანვე საჭიროა ის იმ გარეშე ვალიან და მიმდინარე ვალების კონსოლიდაციისთვის, რომელიც ასე მძიმე ტვირთს წარმოადგენს საფრანგეთისთვის ამ ხანაში. ვის შეუძლია ამ სესხის მიცემა? მათ, ვინც ამ ომის განმავლობაში გამდიდრდენ—ნეიტრალურ სახელმწიფოებს და უმთავრესათ კი მთელი ევროპის თვალები მიპყრობილია იმ დიდს მატერიკს, სადაც „მზე ჩადის", ოკეანის გაღმა და დასავ. მატერიკს და ხმელეთზე. მხოლოდ მას შეუძლია მისცეს საფრანგეთს და მთელ ევროპას საჭირო სესხი, რადგან მას აქვს ამისთვის ძალი და ჯანმთელი ფინანსები, აუარებელი სანოვაგე და ნედლი მასალა. და ამიტომაც არის, რომ მთელი ევროპის ეკონომიური ორიენტაცია იქ მიიზიდება. ჯერ არავითარი ნაყოფი არ მოიტანა პირველმა ვიზიტმა, მაგრამ ცხადია, რომ ის ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნება შესაფერი დახმარება გაუწიოს ევროპას და უმთავრესათ საფრანგეთს, რადგან ამას მოითხოვს თითონ ამერიკის ინტერესები, რადგან თუ ამერიკამ დაკარგა ამისთანა მყიდველი, როგორიც არის ევროპა—მისი მეურნეობა საგრძნობლათ დაეცემა.

საფრანგეთიც ამას ფიქრობს და იმედოვნებს სესხის აღებას ამერიკაში.

დამფუძნებელი კრების წევრი **იოსებ ელიგულაშვილი.**

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

29 იანვარი.

ლონდონის რადიო-სადგურის ცნობები

„პტი პარიზიენი" სწერს: საფრანგეთის განახლებულ ჯარში სამხედრო ბეგრის მოხდის ვადა შემცირებული იქნება. გაზეთის აზრით ეს რეფორმა თანდათანობით უნდა იქნას გატარებული, რათა მეტად ჩქარი ზომების მიღებით უეცრათ არ განვიარაღდეთ. „ფიგარო" ეხება რა შინაურ პოლიტიკას ამბობს: საფრანგეთის წინაშე ორი ამოცანა არის: საზავო ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარება და ფინანსებისა და ხალხის კეთილ დღეობის აღდგენა.

დღეს გაიფიცნენ პარიზის საქალაქოს მოსამსახურენი. ისინი თანაგრძნობას უწევენ მარგარინის ქარხნების მოსამსახურეთ, რომელნიც ამ ერთი კვირის წინად ქირის სიმცირის გამო გაიფიცნენ. საქალაქოების მოსამსახურენი მოითხოვენ მათ დაკმაყოფილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ყასბების მუშაობის მოხსნას იმუქრებიან.

სამშაბათს მილიერანს დეპუტატთა პალატისათვის უნდა მოეხსენებინა კაბინეტის საერთო პოლიტიკის შესახებ, მაგრამ ეს პარასკევისათვის გადადო. პალატამ გააჩინა რეგლამენტში შეტანილი ცვლილებანი. შემდეგ პალატა შეუდგა თავმჯდომარის ამხანაგის არჩევას ანდრე ლეფევრის მაგიერ, რომელმაც სამხედრო მინისტრის თანამდებობა მიიღო. 424 კენჭის ყრაში მონაწილეთაგან 347 ხმით აირჩიეს არლუს გრუსიე.

სამშაბათს მინისტრთა საბჭოს დიდმნიშვნელოვანი სხდომა მოხდა. საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა კაბინეტს ამცნო იმ ზომების შესახებ, რომელიც მას ნახშირის შოვნის გასაძლიერებლად მიუღია. შემდეგ დაარსებულ იქნა ბიურო საფრანგეთისა და გერმანიის შორის ვალების მოსაწესრიგებლად.

ლონდონიდან ატყობინებენ: ოფიციალური წრეების აზრით, ექს-კაიზერის გაცემის შესახებ ჰოლანდიის მიმართ არავითარი ეკონომიური შემუშავებული ზომები არ იქნება მიღებული, რათა იგი [illegible] გაცემაზე აიძულონ. „დეილი ექსპრესი" ამბობს: იმ შემთხვევაში თუ ჰოლანდიამ კაიზერის გაცემაზე კატეგორიული უარი სთქვა—მაშინ მას მოსთხოვენ იმის გარანტიებს, რომ კაიზერი ჰოლანდიიდან არსად გაიქცეს.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი, იანვ 28. ბრიანსკი, იანვ. 27. ბრიანსკის რაიონის ქარხნები და ფაბრიკები მუშაობას განაგრძობენ. ნიადაგის გამოკვლევამ აღმოაჩინა დიდძალი ქვანახშირი, რომელიც დაახლოვებით 300 მილიონი ფუთი იქნება. ამ ნახშირის ექსპლოატაცია თავიდან აიცდენს ადგილობრივ რკინის გზას და საწარმოებს ნახშირის კრიზისს. საერთოდ გვაქვს საბუთი, რომ მომავალ მოკლე დროში ყველა ქარხნები და ფაბრიკები დაიწყებენ საბჭოთა რუსეთისათვის საჭირო ნივთების დამზადებას.

ლიონი იან. 26. კავკასიიდან მოსული ინგლისელები 2 იან. გროზნიში მომხდარი არეულობის დაახლოვებითი ცნობებს იუწყებიან. გამომუშავებული გეგმის თანახმად, ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს რამდენიმე ზარბაზანი და დიდი რიცხვი ყუმბარებისა. ადგილობრივი არტილერისტები წითლების მხარეზე გადავიდნენ და თავისი იარაღი მათ განკარგულებაში გადასცეს. აჯანყებულებმა მოხსნეს მთავრობის ჯარები. მოკლე დროში ბოლშევიკებმა დაიპყრეს ფოსტა და ქალაქის დიდი ნაწილი. ბრძოლა 17 ს. გაგრძელდა. მთავრობის ჯარის დასახმარებლად გაიგზავნა თერგის ყაზახები. მსხვერპლი ორივე მხრით დიდია.

სამხედრო ცნობა. იანვ. 28. როსტოვის რაიონში მკაცრი ბრძოლა გრძელდება. ოვრუჩის დასავლეთით 15 ვერსზე ბრძოლა ცვალებადია. ელისავეტგრადის რაიონში ნოვომირგოროდის სამხრეთით ბრძოლაში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 1 ზარბაზანი ტყვიის მფრქვეველი და სხვა ქონება. წამოვიყვანეთ ტყვეები. ამ რაიონში ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. ვოზნესენსკის მიმართულებით ჩვენი ნაწილები მდ. გრომოვლეიაზე გამოვიდნენ. პერეკოპის და გენიჩესკის რაიონში ბრძოლა ცვალებადია. როსტოვის რაიონში ნახიჩევანის სამხრეთით მკაცრი ბრძოლა იყო, რის შემდეგ მტერი ბატაისკისაკენ და ოლგინსკაიასკენ უკუ ვაგდეთ. მდ. მანიჩის შესართავის ზემოთ 30—40 ვერსზე დუბინსკას გმირი ცხენოსნები მდ. მანიჩზე გადავიდნენ და ორი დღის ბრძოლის შემდეგ მტერი ეფრემოვის სამხრეთით ძლიერ დაამარცხეს. ჩვენი ნაწილების შეტევა გრძელდება. აღმოსავლეთით ჩვენი ნაწილები, გადავიდნენ რა მდ. მანიჩის მარცხენა ნაპირზე, მტერთან მკაცრ ბრძოლას აწარმოებენ. გეორგიევსკის მიმართულებით, სვიატოი კრესტის აღების დროს ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ მე 12 პლასტუნთა ბატალიონის ორი ასეული, ხელში ჩავიგდეთ მრავალი ქონება.

ვარშავა. იან. 15. „მორსკოი ოსტროვ"-ს ცნობით გაიფიცნენ კუნწულის რაიონის მაღაროების მუშები. მუშაობა შეჩერდა 22 მაღაროში. რამდენიმე ათასი მუშა გაემართა ვიტკოვიცისაკენ, სადაც რკინის დიდი მაღაროებია. ვიტკოვიცის ქარხნის მუშები გაფიცულებს შეუერთდნენ. გაფიცულია 50000 მუშა. დასავლეთ პრუსიაში გაფიცვა ძველებურათ მიდის. დიუსელდორფის ოლქში მდგომარეობა უიმედოა.

პსკოვი. იან. 24. რიგის პოლიციამ აღმოაჩინა ფარული სტამბა, სადაც იბეჭდებოდა კომუნისტების გაზეთი „ზარბა" და „სპარტაკი". პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიეს.

მოსკოვი, იანვ. 23 25 იანვარს შესდგა სახალხო სამეურნეო საბჭოს მე 3 ყრილობა, მოსკოვის მუშათა დეპუტატების და პროფესიონალურ კავშირების გამგეობის შეერთებული სხდომა. რიკოვის შემდეგ, რომელმაც ციფრებით დახატა ჩვენი მეურნეობის მდგომარეობა, გამოვიდა ტროცკი. ჩვენი მტრები, სთქვა მან, შინაური და განსაკუთრებით გარეშე, შეეცდებიან ფართოეთ გამოიყენონ ის ციფრები, რომელიც გულახდილობით ახასიათებს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას და მუშაობას. ისინი დაიწყებენ ლაპარაკს, რომ საბჭოთა რეჟიმი ანგრევს მეურნეობას. რა კეთდება მაშ, დასავლეთ ევროპაში, გერმანიის მეურნეობა თანდათან ეცემა, ავსტრიის მეურნეობა საბოლოოთ დაეცა. საფრანგეთის ჩრდილოეთის ნაწილი დაშლის და დანაწილების მდგომარეობაშია. ბელგია სრული გაღატაკების გზაზეა. ბურჟუაზიული მეთაურები ამბობენ, რომ ევროპის შრომის დამბლა დაეცა, რომ საერთო პასივობის ფართე ტალღა მოედო ევროპას. ევროპის ბურჟუაზიულ ნაწილს არ შეუძლია ამ ტალღის გადალახვა. მან მუშათა კლასის ბევრი ფიზიკური და მორალური ძალა მოახმარა იმპერიალისტურ ომს. მან ძლიერ გააცრუა მუშათა იმედები, რომ მან კიდევ გამონახოს ახალი წყარო მუშათა კლასიდან. ევროპის მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ შესძლებს და თავის არენაში ნახავს საკმაო შემოქმედებით ენერგიას, როდესაც ევროპის მეურნეობის პასუხისმგებლობა პირდაპირ მას დაეკისრება. ყოველივე ის, რაც მოხდა ევროპაში, ჩვენში უარესად იყო ჩვენ ჩამოცილებული ვიყავით ჩვენი ნახშირიდან, ნავთიდან და ბამბიდან. ნუ თუ შეიძლება ასეთ პირობებში საბჭოთა რეჟიმის გამტყუნება, ნუ თუ აქ არის ბოროტების დასაწყისი. ფაბრიკა შეიძლება იყოს კაპიტალისტური, აქციონური, შეიძლება იყოს განსაზოგადოებრივებული და კიდევ დასრულებული კომუნისტური მეურნეობის ნაწილი. მაგრამ თუ მას წაერთვა სათბობი მასალა, თუ მას ჩამოერთვა დასამუშავებელი მასალა, მისი მილიდან კვამლი აღარ ამოვა, მისი ბორბლები აღარ იბრუნებენ. რუსეთის პროლეტარიატი თავის ქვეყნის ბედის და თავისი მეურნეობის პასუხისმგებლობას უკვე გრძნობს.

ამ სიღარიბეში მუშაკების აღზრდა ხდება. ამ პირობებში ყოველი მუშა კაცი და მუშა ქალი მეურნეობის დაფასებას ეჩვევა. თითოეული მუშა კაცი და ქალი იწყებს შეგნებას თუ რას ნიშნავს თურქესტანი ჩვენი გაერთიანებული ახალი მეურნეობისათვის და რას ნიშნავს დონის ოლქი; ეს გვაძლევს რწმენას, რომ ჩვენ სამეურნეო ცხოვრებას აღვადგენთ. ჩვენ ამას ვიქმთ, თუ ჩვენ აღმდგენელობითი მუშაობისაკენ მოვუწოდებთ გამოცდილ მუშებს. ჩვენ უნდა ვიყოლიოთ ისინი ანგარიშში და მათ ჩავაბაროთ შრომის წიგნები. სოფლებში ეს საქმე უნდა დაეკისროს პროფესიონალურ კავშირებს. მხოლოდ იქ, სადაც პროფ. კავშირების მეთოდები არ არის საკმარისი, იქ საჭიროა სხვა აპარატი, დამატებითი [illegible], [illegible] იძულებითი [illegible]. [illegible]გან შრომის ბეგარა ფიქრობს, რომ სახელმწიფოს აქვს უფლება უხმოს გამოცდილ მცოდნე მუშას, რომელიც ზის სოფელში, რადგან საქმეების გამო. (დამახინჯებულია) შენ მოვალე ხარ წახვიდე სორმოვოში ან კოლომნის ქარხანაში, რადგან შენ იქ საჭირო ხარ. შრომის ბეგარა ნიშნავს, რომ გამოცდილი მცოდნე მუშები, რომლებიც არმიიდან გამოსულან, თავისი შრომის წიგნაკით ხელში წავიდენ იქ, სადაც ისინი აუცილებელნი არიან, სადაც აუცილებელია მათი ყოფნა ქვეყნის მეურნეობის აღდგენისათვის. შრომის ბეგარა გულისხმობს სახელმწიფოს უფლებას მუშაზე. სახელმწიფოს შეუძლია უბრძანოს მუშას გამოვიდეს შინაურ სამრეწველოებიდან, ხელოსნობიდან და გადავიდეს სახელმწ. ცენტ. სამრეწველოებში, სადაც ამ კატეგორიის მუშების დაუხმარებლად მუშაობა არ შეუძლიათ, მაგრამ ეს მუშები ჩვენ უნდა ვასაზრდოოთ, უზრუნველვყოთ აუცილებელი სურსათი, როგორც გუშინ ჩვენ მიზნათ ვისახავდით საბჭოთა რესპუბ. თავდაცვას, ეხლაც ჩვენ მიზნათ უნდა დავისახოთ ვიშოვოთ, მოვიტანოთ საჭირო პური, ხორცი, შეშა და თევზი, რათა უზრუნველვყოთ მუშათა კლასი. საკითხი სდგას არა მარტო ინდუსტრიალურ პროლეტარიატზე, ჩვენ წინ სდგას საკითხი მუშათა ნედლი ძალის მოწოდებაზე. იქ ფრონტზე კვალიფიციურ მუშებს არა დიდი წვალებით რაც შეისწავლენ ფაბრიკებში, ქარხნებში. იმათ შეისწავლეს ძნელ პირობებში ათი და ასი ათასი გამოწვრთნილ მასის წინამძღოლობა და მასთან ერთად ბრძოლა.

ეს იქნება სარდლობის შემადგენლობა. არის კიდევ ერთი გზა სახალხო მეურნეობის აღდგენისა. ეს არის არმიის დაახლოვება შრომასთან. სამხედრო ნაწილების და მთელი არმიის შრომელ ნაწილებათ გადაქცევა. მოვალეობა არმიამ თავისი სამხედრო მიზანი უკვე შეასრულა. მაგრამ მათი დემობილიზაცია ჯერ არ შეიძლება. სანამ ისინი სამხედრო მუშაობისაგან არიან თავისუფალნი, ისინი იბრძოლებენ სიმშილის და სიცივის წინააღმდეგ. ჩვენ ასეთი არმია რამდენიმე უკვე გვყავს. ამ არმიამ უკვე მიიღეს განსაზღვრული საქმეები. ერთი იშოვის სურსათს მეურნეობისათვის იმ რაიონში, სადაც ეს არმია სდგას. მეორე იშოვის შეშას, მიზიდავს რკინის გზასთან, დაეხმარება ორთქლმავლების შეკეთებაში—მეორე დაეხმარება რკინის გზით დაჩქარებით გაყვანის საქმეში (ნავთის „გატანით, მესამე—გამოყვანილი იქნება სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესაკეთებლად. გაზაფხულზე კი მიწის დამუშავებისათვის. ამ [illegible] მუშათა მასაში სისწორით აღსრულება და სრული პასუხისმგებლობა მკაცრი ზომებით უნდა გატარდეს, თუ მოწინავე მუშები მთელ თავის აზრს, მთელ თავის ნებას, მთელ რევოლუციონურ მისწრაფებას მოანდომებენ მეურნეობის საქმეს, მაშინ ეჭვი არა მაქვს, რომ ჩვენ რუსეთს გამოვიყვანთ თავისუფალ ახალ გზაზე მტრის შესარცხვენად და მეგობრების გასახარებლად.

კომუნისტების საქმიანობა*)

კარლ კაუცკისა.

პროლეტარიატის მომწიფება.

ბუნებრივათ უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ თვით ბოლშევიკებს არ შეეძლოთ წინააღმდეგობის გაუწევლათ შეერიგებოდნენ „მასიურ ფიცობს", რომელიც ასე მძლავრად იყო მოფენილი.

მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა ბურჟუების ქონების ექსპროპრიაცია მოახდინეს, თვით ბურჟუაზია კანონს გარეშე გამოაცხადეს და პროლეტარიატი კი „წმიდა არსებათ" აღიარეს—შეეცადენ ეს წმიდა არსება წარმოედგინათ საკმაოდ მომწიფებულათ, რომელიც იქნებოდა წინასწარი პირობა ყოველგვარი სოციალიზმისა და ექსპროპრიაციისა.

„ჩვენ ჯერ კიდევ წინეთ ვიცოდით,— ამბობს ტროცკი თავის წიგნში,— („შრომა, დისციპლინა და სხ. გვ. 16), რომ არ მოგვეპოვება, გვაკლია საჭირო ორგანიზაცია, საჭირო დისციპლინა, საჭირო ფსიქოლოგიური შკოლა; ჩვენ ყველაფერი ეს ვიცოდით და ამან მაინც ვერ შეგვიშალა ხელი, რომ გვებრძოლა ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებათ. ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ყველაფერს შევისწავლიდით და ყველაფერს მოვაწყობდით".

გაძლევდა კი ტროცკი ორთქმავალზე ასვლას და მის გაშვებას იმ რწმენით, რომ გზაში ის „ყველაფერს შეისწავლიდა, ყველაფერს მოაწყობდა"?

ეჭვი გვეპარება, რომ ორთქლმავალზე ასვლას უარსა მას აღმოაჩენდეთ, მაგრამ საკმაო დრო ექნებოდა კი „შესწავლისთვის"? არ გადავარდებოდა ორთქლმავალი ლიანდაგიდან, არ აფეთქდებოდა ის?

ვინც ორთქლმავალის წაყვანას დაპირებდეთ, საჭიროა შეისწავლოს მისი ამუშავება—მოხმარა. ამრიგად, პროლეტარიატს შეუძლია აიღოს თავის ხელში წარმოების მართვა მას შემდეგ, როცა ის შეიძენს ამისათვის საჭირო ცოდნა-გამოცდილებას. წარმოებას არ შეუძლია აიტანოს ერთგვარი მოლოდინება, დასვენება. მით უფრო ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შექმნილია ომის გამო, როცა არ მოგვეპოვება არავითარი შემონახული საქონელი, როცა იძულებულნი ვართ ვცხოვროთ დღიურათ, როცა ისეთი პირობებია, რომ სიმშილით სიკვდილი მოგველის!

თვითონ ლენინი უკვე აუცილებლად საჭიროთ ხედავს შეჩერებულ იქნას ექსპროპრიაციის პროცესი.

„უკეთუ ჩვენ მოვისურვებდით კაპიტალის ექსპროპრიაციის განგრძობას წინანდელი ტემპით, აუცილებლათ დავმარცხდებოდით; აშკარა და ყველა მოაზროვნე ადამიანისთვის თვალსაჩინოა, რომ ჩვენი მუშაობა პროლეტარული ანგარიშისა ჩამორჩა „ექსპროპრიატორების ექსპროპრიაციის" უშუალო პირდაპირ მუშაობას („საბჭოთა მთავრობის მახლობელი მიზნები", გვ. 14).

მიუხედავათ ამისა, ლენინი უკან არ იხევს, პირიქით, ირწმუნება, რომ „საბჭოთა ი გადაულახავს ყოველგვარ დაბრკოლებას და კაპიტალის წინააღმდეგ წარმოებულ კამპანიას გამოცდილებით დაგვაგროვებინებს, რამეთუ რუსეთის პროლეტარიატის მომწიფების პროცესი გიგანტიური ნაბიჯებით მიიწევს წინ".

ის ამბობს:

„შრომის ნაყოფიერების ამაღლებელი პირობაა ხალხის ფართო მასსის განათლება და კულტურულათ დაწინაურება. ეს პროცესი წინ მიიწევს კოლოსალური სიჩქარით, რასაც ხელს უწყობს საზოგადოთ ხალხის მისწრაფება განათლებისაკენ და ის ინიციატივა, რაც ხალხში გამოიწვია საბჭოთა ორგანიზაციებმა". (გვ. 33).

ხალხის განათლების ამაღლება შეიძლება იყოს ორგვარი. ის შეიძლება გატარებულ იქნას თანდათანობით, სისტემატიურათ, სკოლების საშუალებით. ამ დარგში რუსეთს ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი. ფართოდ განვითარებული სახალხო სკოლის სისტემა დიდძალ ხარჯებს მოითხოვს, საჭიროა აყვავებული მრეწველობა, რომელიც ელოდება მათ მოგვცეს ზედმეტ ნაწარმოებს. რუსული წარმოება კი იმდენათ მცირე ნაყოფს იძლევა, რომ სკოლის საქმემ უნდა განიცადოს უკიდურესი შევიწროება გაჭირვება. ხელოვნებისა და მეცნიერების ხალხში გასავრცელებლათ ბოლშევიკები, ეჭვს გარეშეა, ცდილობენ გააკეთონ იმდენი, რამდენიც ძალაც მათ შესწევს ამისათვის. მაგრამ ეკონომიური პირობების გამო მათი მოღვაწეობა განსაზღვრულია. ასე რომ, ამ მხრით არ არის მოსალოდნელი ჩქარა მოხდეს „განათლების ამაღლება", რომელიც შესაძლებელს გახდიდა აგრეთვე მრეწველობის ამაღლებას. პირიქით, წარმოების აყვავება ერთ-ერთი წინასწარი პირობაა განათლების ამაღლებათ.

მოზრდილი ადამიანები კი, უმეტეს ნაწილად განაგრძობენ განათლების მიღებას არა იმ სკოლებში, რომელთაც აარსებს თემი ან სახელმწიფო, არამედ—თვით ცხოვრების სკოლაში. საუკეთესო პირობებს ამისათვის დემოკრატია ქმნის; ერთ საუკეთესო ინსტიტუტად ამისთვის ითვლება დისკუსიის თავისუფლება და ფაქტების მიწოდება. ის თავისუფლება, რომელიც აძლევს ყოველ პარტიას და მიმდინარეობას იბრძოლოს ხალხისათვის, მოუწოდოს ხალხის საზოგადოების ყოველ წევრს გაითვალისწინოს და შეისწავლოს ყველა მხარეების არგუმენტები და შეიძინოს დამოუკიდებელი მსჯელობა და საკუთარი აზრის გამუშავება. დემოკრატიის ბატონობის დროს კლასთა ბრძოლა თავის უწყვეტელ ფორმას ღებულობს; რადგანაც ამ ხანაში ყოველ პარტიას სურს ხალხს დაეყრდნოს და მართალია, ყველა მათგანი იცავს თავის განსაზღვრულ კლასიურ ინტერესებს, მაგრამ ის იძულებული ხდება პირველ რიგში ამ ინტერესების ის მხარე წამოაყენოს, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ხალხის საერთო ინტერესებთან. ასე მაგალითად თანამედროვე სახელმწიფოებრივი დემოკრატია „კულტურ და პროფესიონალურ პოლიტიკას" ამარცხებს, აქ ის იმარჯვებს. დემოკრატიის ბატონობის ხანაში მასსის აზროვნებას ფართო ასპარეზი ეხსნება, რადგანაც ის პოლიტიკაში მონაწილეობას ღებულობს.

საბჭოთა რესპუბლიკამ უარყო დემოკრატია და მის მაგივრათ მთელი ძალა-უფლება მუშათა საბჭოებს მიაკუთვნა; წაართვა „ბურჟუას" ყოველივე უფლება, მოსპო ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, რითაც მოსპო ყოველივე შესაძლებლობა ხალხის განვითარებისა.

დაქირავებულ მუშათა ინტერესები ამრიგად საზოგადოების საერთო ინტერესებიდან გამოყოფილი რჩება და ამავე დროს მუშა მოკლებულია საშუალებას დამოუკიდებლად აწონ-დასწონოს ყოველგვარი არგუმენტები კლასთა ბრძოლის და პარტიების აზრთა სხვადასხვაობისა.

არგუმენტების შეფასებას ამის მაგივრათ აწარმოებს უმაღლესი ძალა-უფლების მქონე ორგანო, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული დაუმალოს მუშას ყოველგვარი ცოდნა და აზრი, რომელიც კი მას დაუბადებდა ეჭვს საბჭოთა სისტემის არა ღვთაებრიობაში.

ეს კეთდება, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჭეშმარიტების ინტერესების გულისათვის. რასაკვირველია, საწყალი, განუვითარებელი ხალხი ბოლშევიკებმა უნდა დაიფარონ ბურჟუაზიული პრესის ტყუილებისაგან, მისი ძლიერი აპარატისაგან, მაგრამ სად არის ახლანდელ რუსეთში ის ძლიერი ბურჟუაზიული აპარატი, რომელიც შეძლებს მისცეს ბურჟუაზიულ პრესას გაბატონდეს ბოლშევიკურ პრესაზე. გარდა ამისა, ბოლშევიკური რეპრესიების მახვილი მიმართულია არა მარტო ბურჟუაზიული პრესის წინააღმდეგ, არამედ—ყოველ იმ პრესის წინააღმდეგ, რომელთაც არ სურთ მუხლი მოიდრიკონ არსებული ძალა უფლების სისტემის წინაშე. ამ სისტემას ბოლშევიკები ამართლებენ [illegible] მსოფლმხედველობით, თითქოს არსებობდეს აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომელსაც იზიარებენ მხოლოდ კომუნისტები. ბოლშევიკებს აქვთ კიდევ ერთი გასამართლებელი დებულება: ვითომ მხოლოდ კომუნისტები არიან იდეის ფანატიკოსები, სხვა წევრები კი—მატყუარები. ნამდვილათ კი ყველა წრეში მოიპოვებიან მატყუარებიც და ფანატიკოსებიც იმ იდეისა, რომელიც მათ ჭეშმარიტებათ მიაჩნიათ. სიცრუე იქ იხავს ფრთებს, სადაც მას არ ეშინიან კანონის და სადაც პრესა მოწოდებულია ემსახუროს მხოლოდ ერთად ერთ მიმართულებას. აქ სიცრუეს პრესაში ფართო ასპარეზი ეხსნება და იგი ყველა მატყუარა ელემენტებს აქეზებს და რამდენათაც ცუდ მდგომარეობაში არის მთავრობა, იმდენათ ეშინია სიმართლის და ეს კი უხსნის პრესას ფართო ასპარეზს. ამ გვარათ, პრესის თავისუფლების მოსპობა საშუალებას უსპობს სიმართლის გამოაშკარავებას.

რაც შეეხება შეხედულებათა ჭეშმარიტებას, ჩვენ პილატესთან ერთად უნდა ვიკითხოთ: რა არის ჭეშმარიტება? აბსოლიუტური ჭეშმარიტება არ არსებობს, არის მხოლოდ შემეცნების პროცესი და აი, ამ პროცესს და ადამიანის შემეცნების უნარს ზიანი მოსდის, როდესაც რომელიმე პარტია სარგებლობს თავის ძალა-უფლებით მხოლოდ იმიტომ, რომ თავისი საკუთარი შეხედულების მონოპოლია გამოაცხადოს და დასახოს იგი (შეხედულება) ერთად-ერთ მხნელ ჭეშმარიტებათ და სხვათა აზრები კი დაახშოს.

ეჭვი არ გვეპარება იმაში, რომ ბოლშევიკები არიან იდეალისტები, გამსჭვალულნი იმ რწმენით, რომ ჭეშმარიტებას მხოლოდ ისინი ფლობენ საუკეთესოთ და ყველა მათებრ უნდა აზროვნობდეს.

ამგვარივე რწმენას ჩვენ ვერ წავართმევთ ისპანიის წმინდა ინკვიზიციის ხალხს. და ეს რწმენა ხომ არ უწყობდა ხელს „კულტურის აყვავებას და ხალხის გონებრივ განვითარებას".

არსებობს ერთი განსხვავება ინკვიზიტორებს და საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვანელთ შორის. ინკვიზიტორები სრულიადაც არ ცდილობდენ მასის კულტურულათ და მატერიალურათ ამაღლებას. მათ სურდათ საიქიოს ეცხონებინათ მათი სულები.

საბჭოთა ხელმძღვანელები კი ფიქრობენ ინკვიზიციის მეთოდებით ხალხის გათვითცნობიერება უძლიერეს დონემდე აიყვანონ და სრულიადაც ვერ ამჩნევენ, თუ რამდენათ ხრწნის მასას ბოლშევიკების რეჟიმი.

(გაგრძელება იქნება)

---

*) ის. „ერთობა" № 17, 20.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

◆ დღეს, საღამოს 5 საათზე, მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში დანიშნულია შეერთებული სხდომა პირველ და მეორე რაიონებისა, სადაც ამხ. [illegible] გააკეთებს მოხსენებას საქართველოს დამოუკიდებლობაზე და დღევანდელ მომენტზე.

◆ **სომეხთა ეროვნულმა საბჭომ** შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა შულავერში სანიტარულ გადასახადის მოკრება გადაიდოს, რადგან შულავერში ამ ჟამად დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიან.

◆ **ამერიკელი ფინანსისტი ლუი ბრანდისი** ახლო მომავალში ამიერ-კავკასიაში ჩამოვა. მის ჩამოსვლას კავშირი აქვს ამიერ-კავკასიისა და მცირე აზიაში ახალ რკინის გზების გაყვანასთან.

◆ **სკოლის გარეთ განათლების** გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება შესდგება კვირას, 1 თებერვალს, დილის 10 ნახ. ს. მუშათა სასახლეში—ბებუთ. ქ. მოსამსახურეთა კავშ. ბინაზე (ოთახი № 24.) გასარჩევია საყურადღებო კითხვები; ამიტომ სთხოვენ წევრებს აუცილებლად დაესწრონ.

◆ **გ. თუმანოვის გარდაცვალების** გამო სომხეთა ეროვნულმა საბჭომ გადასწყვიტა გ. მ. თუმანოვის კუბოს გვირგვინით შემკობის ნაცვლად 10,000 მ. გადასცეს სომეხ ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად.

◆ **ქართველ მწერალთა მე-2 ყრილობა.** საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს დადგენილებით 29 თებერვალს ტფილისში მოწვეული იქნება სრულიად საქართველოს მწერალთა მე-2 ყრილობა. ყრილობის დღიური წესრიგი და აგრეთვე იმ მწერალთა სია, ვისაც უფლება იქნება დაესწროს ყრილობას, ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული.

◆ **ლენქორანელ ქართველების მოლოცვა.** დამფუძნებელი კრების და მთავრობის თავმჯდომარეებს შემდეგი დეპეშა მოუვიდათ: „შორეულ ლენქორანში მცხოვრები ქართველები დღესასწაულობენ რა ძვირფასი სამშობლოს დამოუკიდებლობის ცნობას, რასაც დიდი ხანია ელოდენ, თქვენ და თქვენს ამხანაგ მინისტრებს ულოცვენ [illegible] საქართველოს რესპუბლიკის ბედნიერ ცხოვრების დაწყების დღეს და გისურვებენ შემდეგ წარმატებას და რესპუბლიკის აყვავებას, მზათ ვართ სულითა და გულით მხარი დავუჭიროთ დამოუკიდებლობის და თავისუფლების აღიარების აქტს.

◆ **სანდრო მაიხურაძის სახელობის** ბიბლიოთეკა-სამკითხველო „ზომონდი“-დან მუშათა სასახლეში გადაიტანეს. სამკითხველო ღიაა დილის 10-დან 11 საათამდი, საღამოს 5—8 საათამდე. სამკითხველოსთან არსებობს საბავშვო განყოფილება.

◆ **შაქარი და ფართალი.** იანვრის 1—15 დღ. ტფილისში შემოტანილია ფართალი (ბამბეული)—2957 ფუთი, შაქარი 12 168 ფ. და 38 გირვანქა.

◆ **სასწავლო ხელსაწყოთა ქარხანა.** ამას წინად ტფილისში ინჟ. ბოგატენმა გახსნა სასწავლო ხელსაწყოთა ქარხანა (მელიქოვის ქ.) სადაც ამზადებენ სხვადასხვა სასწავლო ხელსაწყოთ როგორიცაა მაგალითად: გლობუსები, ადამიანთა ჩონჩხი, და სხ. განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა სასწავლებლების უფროსთ, რათა ყოველგვარი სასწავლო ხელსაწყონი ხსენებულ ქარხანას შეუკვეთონ.

◆ **წითელი ჯვრის საზოგადოების** მთავარ სამმართველო კვირას, 1 ლ თებერვალს, ხსნის წითელი ჯვრის საავადმყოფოს და უფასო ამბულატორიას საკუთარ შენობაში 26 მაისის ქუჩა № 60 ან შესავალი თაიროვის შესახვევი № 3.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** თავმჯდომარეთ გუშინ 27 იანვარს ერთხმად აირჩიეს ს. ჟორჟოლიანი, მის ამხანაგებად აზატიანი და მანდელშტამი, მდივნად გიმნაზიის დირექტორი ლორთქიფანიძე. პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ არჩევანი უკვე დაამტკიცა.

◆ **ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის** შენობაში დაიწყო მოქმედება „დედობისა და ბავშვობის დაცვის საზოგადოებამ“, სადაც ექიმი ისრაელიანცი ღებულობს ჩვილ ბავშვებს კვირაში ორჯელ,—ორშაბათობით და პარასკეობით საღ. 4—5 ს.

◆ **საქ. ახ. მარქსისტთა** ორგანიზაციების ცენტ. კომიტეტი 28 იანვარს გზავნის პროვინციებში ორ თავის წევრს—დ. ყიასაშვილს და ზ. დუდუჩავას, რომლებიც დაივლიან ყვირილას, ჭიათურას, ქუთაისს, ხონს, ლანჩხუთს და სხ. ქალაქებს და გააკეთებენ ახ. მარქ. ორგანიზაციებში მოხსენებებს ფილოსოფიურ და ეკონომიურ თემებზე. ზოგ ადგილას მოხსენება გაიმართება საჯაროთ და მოხსენების შემდეგ იქნება კამათი მოწინააღმდეგე პარტიებთან.

◆ **დრამატიული საზოგადოების** წევრთა კრების გაგრძელება დანიშნულია კვირას, 1 თებერვალს შუადღის 12 ს. ქართული კლუბის დარბაზში. ამ კრებაზე მოხდება დრამატიული საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები.

◆ **მწერალთა სალიტერატურო კრებული.** მწერალთა საბჭოს დადგენილებით თებერვლის ბოლო რიცხვებში გამოცემული იქნება დიდი სალიტერატურო კრებული, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა ქართველი მწერლები.

◆ **გაზეთების შეწყვეტა** ფულის გამოუგზავნელობის გამო დღეიდან არ ვუგზავნით ოჩემჩირს, ბიდისთავს და ნიგოითს. თუ ფული არ გამოგზავნეს შეუწყდება სხვა აგენტებსაც. კანტორა „განათლება“.

◆ **სამეურნეო დარგის სტუდენტთა** კრება შაბათს 31 იანვარს საღამოს 7 საათზე სახელმწ. უნივერს. მე-8 აუდიტორიაში დანიშნულია სამეურნეო დარგის სტუდენტთა საერთო წლიური კრება.

კრებები

— დღეს, საღამოს 7 საათზე (თავის ბინაზე 19 თებერვლის ქუჩა, სახლი № 9) შესდგება ჩუღურეთის მცირე კოლექტივის წევრთა საერთო კრება. ასარჩევია პრეზიდიუმი.

— პარასკევს, 30 იანვარს, საღამოს 5 საათზე რკ. გზის სამმართველოს შენობაში დანიშნულია სამმართველოს მცირე კოლექტივის სხდომა.

— დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია მეორე რაიონის ს. დ. ქალთა კოლექტივის მორიგი კრება.

— 31 იანვარს საღამოს 6 საათზე დანიშნულია ს. ს. დ. ქალთა ორგანიზაციების ბიუროს მორიგი სხდომა.

— პარასკევს, 30 იანვარს, 12 საათ. სამეურნეო საზოგადოების დარბაზში (ბარიათინსკის ქუჩა, № 5). დანიშნულია კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრება.

პროვინციის ქრონიკა

ფოთი. ფოთის ქალაქის თვითმართველობამ იჯარით აიღო პალიასტომის ტბა სათევზაოთ ერთი წლის ვადით.

— თვითმართველობამ მოაწყო აგრეთვე ხე-ტყის ქარხანა ტყის მრეწველ დიდია-ჯიბილაის საზიაროთ. ქარხანა ახლო მომავალში შეუდგება მუშაობას.

— 5 თვეა, რაც მოეწყო სირაჩქონ-ჭალადიდ შორის ქალაქის კატერებით მიმოსვლა რიონზე.

ახლო მომავალში დაიწყება რიონის ჩრდილოეთის ტოტზე (კუნძულზე) ხიდის აშენება, ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს ნავთსადგურის უფროსს ინჟინერ ანდრონიკაშვილს და კალანდიას. მასალის უდიდესი ნაწილი ქალაქს უკვე შეძენილი აქვს.

— **თელავი.** 26 იან. ღამით ყვარელის გვარდიელებმა მოჰკლეს ცნობილი ყაჩაღი არჩილ ზიკურიშვილი, რომელიც წარსული წლის ენკენისთვიდან გაქცეული იყო თელავის საპყრობილედან, ნაოღლევი. ყაჩაღებთან შეტაკების დროს მოჰკლეს საუკეთესო ამხანაგი, ერობის ხმოსანი დიმიტრი წოწორია.

კოლექტივი.

მთავრობაში.

17 იანვრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

დაინიშნონ სომხეთის დელეგაციასთან მოსალაპარაკებლად მთავრობის წარმომადგენლებად საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი და სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.

— მიღებულ იქნას მიწათმოქმედების მინისტრის მოხსენება სატყეო განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვის მე 14 § ის 1 მუხლით და მე 3 § ის 4 მუხლით ნავარაუდევი კრედიტების გადიდების შესახებ და წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

—მოხსნილ იქნას რკინის გზებზედ სამხედრო წესები და გაუქმდეს საგენერალ-გუბერნატორო.

—დარჩეს მხოლოდ ორი სწრაფი და ერთი სატვირთო მატარებელთა დამცველთა შტატი და დღევანდელ გზათა უწყებას წარუდგინოს მთავრობას შესაფერი ხარჯთ-აღრიცხვა.

— ახალციხე-არტაანს შორის ტელეგრაფის მავთულის გასაყვანად საჭირო 326,000 მან. გადადების შესახებ მოხსენება გადაეცეს დასკვნისათვის სახელმწიფო კონტროლიორსა და ფინანსთა მინისტრს.

— დარიალის სანაპირო რაზმის არტილერიის 2 მწყობრის დროებითი შტატები მიღებულ იქნას და გადაეცეს დასტურისათვის დამფუძნებელ კრებას.

— სამხედრო მინისტრის მოხსენება ბრძოლის ველზე დახოცილ მეომართა დასაკრძალავად 200,000 მანეთის გადადების შესახებ მიღებულ იქნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას დასტურისათვის.

— გზათა მინისტრის მოხსენება საქართველოს სამხედრო გზაზე გზის საფარის „მაიორშის“ შესაკეთებლად 657,891 მან. 91 კაპ. გადადების შესახებ ხარჯთ-აღრიცხვით მიღებულ იქნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას დასკვნისათვის.

უცხოეთი

რუსეთი.

როსტოველი სომხები და დენიკინი. ერთ-ერთ ბრძანებაში რუს ოფიცრების მიმართ გენ. დენიკინი მოითხოვდა, რათა რუს ოფიცრებს თავი გაენებებინათ აზერბეიჯანის ჯარში სამსახურისთვის იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ვერაგულ ბრძოლას აწარმოებდა სომხების წინააღმდეგ. ამის საპასუხოთ როსტოველ სომხებს, გაზ. „ლა ტემპს“-ის გადმოცემით, შემდეგი შინაარსის დეპეშით მიუმართავთ გენ. დენიკინისათვის: სომხეთა ეროვნულ საბჭომ გაიგო შინაარსი იმ ბრძნულ ბრძანებისა, რომლითაც გენ. დენიკინმა მიმართა აზერბეიჯანის ჯარის ნაწილებში მოსამსახურე რუს ოფიცრებს. აზერბეიჯანის ჯარი, მათი სიტყვით ვერაგულათ დაესხა თავს სომხეთს და იმ დროს, როდესაც ათასი სომეხი მეომარი იბრძვის მოხალისეთა რაზმებში და სისხლსა ღვრის მთლიან რუსეთის აღდგენისათვის,—ამ დროს დაუშვებელია რუს ოფიცრებმა აზერბეიჯანის ჯარში იბრძოლონ სომხეთის წინააღმდეგ. საბჭო მადლობას უძღვნის გენ. დენიკინს, რომელიც, ნამდვილი ინიციატორი და განმახორციელებელია მთლიანი რუსეთის იდეისა.

ავსტრია

ავსტრიის საგარეო პოლიტიკა. კანცლერ რენნერმა ნაციონალურ კრების ფინანსიურ კომისიაში, სხვათა შორის, განაცხადა: ჩვენ უნდა გავფანტოთ ის უნდობლობა, რომელსაც ადგილი აქვს გამარჯვებულ და მეზობელ სახელმწიფოების მიმართ დამოკიდებულებაში. ამას გარდა, ჩვენი საგარეო პოლიტიკა მიზნათ ისახავს აამაღლოს ჩვენი ხალხის მორალური ღირსებულება. მთავრობა მზათ არის კავშირი იქონიოს უმაღლეს საბჭოსთან; ჩვენ უნდა დავამყაროთ კეთილ მეზობლური განწყობილება პოლიტიკურ-ეკონომიურ სფეროში მეზობელ სახელმწიფოებთან

რუმინია

„დემოკრატიზაციისაკენ“. საფრანგ. პრესა აღნიშნავს, რომ რუმინიის მართვა-გამგეობაში თანდათანი დემოკრატიზაცია ხდება. ძველი სახელმწიფო მოღვაწეები არც ერთი არ შესულა მთავრობაში; მათ ადგილას მოწვეულ იქნენ ბურჟუაზიული წრეების წარმომადგენლები, განსაკუთრებით ტრანსილვანიელებიდან, აქედან არის რუმინიის მთავრობის თავმჯდომარეც—ვაიდა ვოევოდა. დემოკრატიზაციის მაჩვენებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ შინაგან საქმეთა მინისტრათ არჩეულ იქნა დ-რი ლუპუ, რომელიც გაზეთების სიტყვით, დემოკრატია, თითქმის სოციალისტიცაა, თუმცა ოფიციალურათ იგი არ ეკუთვნის სოციალისტურ პარტიას. დემოკრატიზაციის მიზეზით ტრანსილვანიის შეერთებას ასახელებენ: სამრეწველო ტრანსილვანიამ კარგი გავლენა მოახდინა რუმინიის დემოკრატიის ძალთა განვითარებაზე. თავად აზნაურობის როლი დაეცა პოლიტიკურ ცხოვრებაში და მის ადგილს გავლენით ბურჟუაზია გამოვიდა.

საფრანგეთი.

სოციალისტები და სამხედრო ნადავლი. გაზ. „ტან-“ის ცნობით სამხედრო ნადავლის დროს საფრანგეთის სამხედრო სამინისტრომ არ დაივიწყა ქალ. პერიგეუ, რომელსაც რამდენიმე გაუბიცი და ზარბაზანი გაუგზავნა მაგრამ ქალაქის ახლათ არჩეულ სოციალისტურმა საბჭომ არ ისურვა ასეთი საჩუქრის მიღება და ერთხმათ გადასწყვიტა ნადავლი უკან დაუბრუნოს სამინისტროს.

ინგლისი

დამატებითი არჩევნები. სპენ ვალლის ოლქში თემთა პალატაში დამატებით არჩევნების დროს გავიდა სოციალისტი კანდიდატი მეიერი, რომელმაც 11,962 ხმა მიიღო, მისი მოწინააღმდეგეთ იყვნენ ყოფილი მინისტრი ასკვიტის კაბინეტში—ჯონ სიმონი და ლიბერალი—კოალიციონისტების კანდიდატი, რომლებმაც მიიღეს: პირველმა 10 ათასამდე, მეორემ 8 ათასამდე ხმა. გაძლიერდა მუშათა პარტიის გავლენა ბრომლეის ოლქშიც, სადაც მისი კანდიდატმა 10,077 ხმა შეკრიბა.

სომხეთი

პარლამენტის საზეიმო სხდომა. 25 იანვარს უმაღლეს საბჭოს მიერ სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარების გამო შესდგა არაჩვეულებრივი საზეიმო სხდომა სომხეთის პარლამენტისა. სხდომას დაესწრნენ მოკავშირე სახელმწიფოების, „დობრარმიის“, სპარსეთის, საქართველოსა და აზერბეიჯანის წარმომადგენლები. თავმჯდომარე ულოცავს დამსწრეთ და მთელ სომეხ ხალხს დამოუკიდებლობის აღიარებას. ვრცელ სიტყვას ამბობს პრემიერ-მინისტრი ალ. ხატისიანი, რომელიც აკეთებს სომხეთის ისტორიულ მიმოხილვას და კითხულობს მ—რი [illegible]-ას დეპეშის ტექსტს სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. პრემიერი სხვათა შორის ამბობს: საქართველოსა და აზერბეიჯანის დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ ჩვენ შევეკითხეთ მოკავშირეთა წარმომადგენლებს განმარტებისთვის, რატომ არ სცნობენ ისინი სომხეთს; მათ გვიპასუხეს, რომ ეს საკითხი დაკავშირებულია ოსმალეთის საკითხთან და მასთან ერთად გადაწყდება. მაგრამ, როდესაც ისინი დარწმუნდენ, რომ სომეხ ხალხს არ შეუძლია გაიგოს ასეთი დიპლომატიური „შორსმჭვრეტელობა“,—მათ იცნეს სომხეთის დამოუკიდებლობა ოსმალეთის საკითხიდან განცალკევებულათ. შემდეგ პრემიერი ეხება სომხეთის ისტორიას, იმ როლს, რომელიც მან შეასრულა საერთაშორისო ომში, ოსმალეთის მთავრობის მისწრაფებას გაეწყვიტა სომხები და ჰქონოდა „სომხეთი უსომხებოთ“, სომეხ ერის ბუნებრივ მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი და ამბობს: „სომეხმა ხალხმა უნდა მოიკრიბოს მთელი ძალა, რომ ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული და საბოლოოთ უკვე მიღწეული საქმე“. თავმჯდომარე-[illegible] სალამს უძღვნის ყველა უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რომელთაც დამსწრენი ფეხზე ადგომით და ოვაციებით ხვდებიან. ყველა ორატორები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარება იმ სახით, როგორც ეხლა იცნო იგი უმაღლესმა საბჭომ, არაა დამაკმაყოფილებელი სომეხ ხალხისათვის. კავკასიის სომხეთთან ოსმალეთის სომხეთიც უნდა იქნეს, სადაც, მართალია, ამ ჟამად თითქმის არ დარჩენილა სომხები, მაგრამ საკმაოა აღიარებულ იქნეს გაერთიანებული სომხეთი, რომ აუარებელი ლტოლვილები ამერიკაში და სხვა სახელმწიფოებში დაუბრუნდნენ თავიანთ კერას. ესერების ფრაქციის წარმომადგენელს, მონაწილეობას უმნიშვნელოთ მიაჩნია ამ სახით ცნობა დამოუკიდებლობისა და იგი ამას მხოლოდ იმპერიალისტურ ფანდათ თვლის. მისი აზრით, ამიერ კავკასიის ბურჟუაზ სახელმწიფოების შექმნით საერთაშორისო იმპერიალიზმს სურს რუსეთის რევოლიუციის ებრძოლოს. ფრაქციის სახელით იგი აცხადებს: „ეს აქტი არის ერთი იმ უთვალავ იმპერიალისტურ ცდათაგანი, რასაც დიდი ხანია აკეთებენ მშრომელ კლასების ორგანიზმზე. შემდეგ ორატორი აფასებს დამოუკიდებლობის აქტს საერთაშორისო თვალსაზრისით და ამბობს. ამ მხრივ „ეს აქტი არის უშინაარსო ახალი ფანდი, რომელიც სავსეა ორ აზროვან გამოთქმებით და შესაძლებლობას აძლევს მრავალნაირ ანგარიშში არ გაუწიონ მას“. ორატორი ათავებს იმით, რომ ნამდვილი თავისუფლების მოცემა მხოლოთ „რუსეთისა და საერთაშორისო დემოკრატიის“ გამარჯვებას შეუძლია. მუსულმანთა ფრაქციის წარმომადგენელი აგაბეკოვი აღნიშნავს, რომ არაა საკმაო ცნობა მოკავშირეების მიერ; მისი აზრით გადამწყვეტი მნიშვნელობა რუსეთის მიერ აღიარებას აქვს. დასასრულს მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა მთავრობის მოხსენება სომხეთის დამოუკიდებლობის „დე ფაქტოთ“ აღიარების შესახებ, სომხეთის პარლამენტი აღფრთოვანებული მუხლს იდრეკს სომხეთის ხალხის მიერ მიღწეულ გამარჯვების წინაშე, რომელიც მან მოიპოვა დიდი ხნის ბრძოლით და მძიმე მსხვერპლის გაღებით; პარლამენტი მადლობას უძღვნის მოკავშირეთა ხალხებს და პარლამენტებს და ხაზს უსვამს სომხეთის რესპუბლიკის როლს სომეხ ხალხისა და მისი მიწების შეკრების საქმეში. პარლამენტი აცხადებს, რომ სომეხ ხალხს შეუძლია თავისუფლათ და დამოუკიდებლათ იცხოვროს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა სომხური მხარეები ერთ მთელში იქნებიან შეერთებული. ხალხის მიერ გაღებული მსხვერპლი და შრომა მხოლოდ მაშინ დაჯილდოვდება სრული გამარჯვებით, როდესაც აღიარებული იქნება „გაერთიანებული სომხეთი“ და მუდამ მოხეტიალე სომეხი ხალხი განთავისუფლდება დესპოტების უღლიდან და თავის სამშობლოს დაუბრუნდება“. რეზოლიუცია დაშნაკელებმა წარმოადგინეს და მიღებულ იქნა 37 ხმით; ხუთმა თავი შეიკავა.

ამერიკა.

ციხეების რეფორმა. გაზ. „ტანის“ კორესპონდენტს ყურადსაღები წერილი აქვს მოთავსებული ამერიკის ციხეების შესახებ. კორესპონდენტი ბოსტონის ქალაქის თეატრში დაესწრო ტუსაღების მიერ წარმოდგენილ შექსპირის პიესას. ტუსაღები კარგად თამაშობდნენ დაკისრებულ როლებს. ციხის უფროსად ამ ქალაქში არის ტომას ოსბორნი, რომლის უნარსაც უნდა მიეწეროს ის, რომ ტუსაღები აქტიორობენ. მისივე მეცადინეობით ციხეში დაარსდა დრამატიული სტუდია და ოსბორნივე შუამდგომლობით ნება დართეს ტუსაღებს საჯარო წარმოდგენების გამართვისა. ტუსაღ-აქტიორებს პატიოსანი სიტყვა აქვთ ჩამორთმეული, რომ ისინი არ გაიქცევიან არსად და არ ყოფილა შემთხვევა არც ერთხელ, რომ წარმოდგენის შემდეგ ტუსაღები არ დაბრუნებულიყვნენ ციხეებში. ოსბორნს საზოგადოთ დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ციხეების რეფორმების გატარებაში. 1917 წელს ოსბორნი დანიშნეს პორტსმუტის ციხის უფროსად. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ ციხიდან დათხოვნილ იქნენ 180 ზედამხედველები, რადგანაც ტუსაღები ისედაც ასრულებდენ დაკისრებულ მოვალეობას, ტუსაღები ბარაკებში იყვნენ მოთავსებულნი და ციხეს კედლები არც კი ჰქონდა შემოვლებული. უშველებელ ციხეში მხოლოდ 5 ზედამხედველი იყო. კარცერი გააუქმეს ციხეში. დაარსებულ იქნა ურთიერთ დამხმარე ლიგა, რომელიც იცავდა წეს-რიგს და ხელმძღვანელობას უწევდა ტუსაღებს. ოსბორნის რეფორმები ფრიად სასარგებლო და მნიშვნელოვანი გამოდგა და მიზანსაც დააღწევს. ტუსაღებში ვითარდება სოციალური სოლიდარობის და პასუხისმგებლობის გრძნობა.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების საკრებულოს სხდომაში 1920 წელს თებერვლის 2 ს დანიშნულია განსახილველად საკასაციო წესით შემდეგი საქმეები.

1) საქმე გიორგი გაბაშვილისა ანტონიო რიცცისთან დარღვეულ მფლობელობის აღდგენის თაობაზე.

2) საქმე სამსონ და სხვა სანოძეებისა სამედიატორო განჩინების სისრულეში მოყვანის შესახებ.

3) საქმე ბაბილინა და მაკრინე კუპრეიშვილებისა იუსტინა და ლეონტი კვახანჭელიძეებთან 666 მან. 66 კაპ. თაობაზე.

4) საქმე ეგნატე გუნიასი, მაკრინე ოდიშარიასთან 530 მან. თაობაზე.

5) საქმე ილარიონ კობიაშვილის და პელაგია ბერძნიშვილის გიორგი შიშმანაშვილთან მამულის თაობაზე

6) საქმე გარდაცვლილ იოსებ პაპუაშვილის ქონებისა და ობლების მოურავის—სოფიო პაპუაშვილისა ელია და სხვა ქეთიაშვილებთან მამულის თაობაზე.

მინისტრი ჭიათურაში

18 იანვარს საღამოს მატარებლით გვეწვია შინაგან და განათლების მინისტრი ამხ. ნოე რამიშვილი. სადგური გაჭედილი დახვდა ხალხით. სოფლიდან მოხუცებულებსაც მოესწროთ ჩამოსვლა. სადგურიდან მუშების და გლეხების თანხლებით მინისტრი გვეწვია თეატრში პარტიულ საზოგადო კრებაზე, სადაც გააკეთა მოხსენება მომენტზე. ხალხი დაუსრულებელი ტაშით და ოვაციებით შეხვდა მომხსენებელს. პირველ ყოვლისა მოულოცა ჭიათურის დემოკრატიას თავისუფალ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა ანტანტას მიერ, რამაც აღფრთოვანა ხალხით გაჭედილი თეატრი და იგრიალა ტაშმა... მოხსენება ერთობ შინაარსიანი იყო. მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები. მოხსენება გათავდა 12 საათზე. მეორე დღეს, 12 საათზე დღისა დანიშნული იყო საზოგადო მიტინგი, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო, სადაც გააკეთა მოხსენება მომენტზე. იყო აქაც მრავალი შეკითხვები. კრებამ მომხსენებელი დააჯილდოვა მხურვალე ტაშით. შემდეგ მან დაათვალიერა ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებები. და მესამე დღეს გაემგზავრა საჩხერეში.

ობოლი გლეხი.

ერობათა თათბირი

ერობათა წარმომადგენლების და მთავარ კომიტეტის თათბირი 28 იანვარს დასრულდა. თათბირმა შემდეგი რეზოლიუციები გამოიტანა:

სასურსათო საკითხის შესახებ.

სამაზრო ერობის წარმომადგენლების თათბირი საჭიროთ სთვლის მიაქციოს მთავრობის ყურადღება ჩვენს ეკონომიურ პოლიტიკას და აღიაროს, რომ რესპუბლიკის ეკონომიური მდგომარეობა მძიმეა, რასაც ყველაზე ცხადად გრძნობენ ადგილობრივი თვითმართველობანი, როგორც ხალხთან ახლო მდგომნი ასეთი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მთავრობამ სხვა ზომათა შორის მიაქციოს ყურადღება შემდეგს:

დღემდე ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა მიმართული იყო უმთავრესად იქით, რომ ჩვენში რაც შეიძლება მეტი საქონელი შემოტანილიყო. ჩვენ ერთგვარად შემოგვქონდა, როგორც აუცილებელი საჭიროების დასაკმაყოფილებელი, ისე არა პირველ მოთხოვნილების საგნები. ამავე დროს ნაკლები ყურადღება ექცეოდა ჩვენი ქვეყნიდან საზღვარ გარეთ საქონლის გაზიდვის საქმეს.

ნებართვების სისტემა ყოველ საქონელზე, რომელიც არსებობდა და არსებობს ჩვენში, ასუსტებს როგორც თვითმართველობათა, ისე კერძო მწარმოებელთა შორის საზღვარგარეთ გასაზიდ საქონლის დამზადებას. [illegible] არა სასურველ გავლენას ახდენს ჩვენ სავაჭრო ბალანსზე და მით ხელს უწყობს ეკონომიურ მდგომარეობის გართულებას.

თათბირი გამოსთქვამს სურვილს, რომ მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გასაზიდ საქონლის დამზადებას. თვით გაზიდვა უნდა გაადვილდეს და გაზიდულ საქონლისათვის ბაზრის მოპოვებას მთავრობამ ხელი შეუწყოს.

ამისათვის საჭიროა დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს მკაფიო რეგლამენტაცია იმისი, თუ რა საქონელი გააქვს მხოლოდ მთავრობას (სამონოპოლიო საგნები) და რისი გაზიდვის უფლება ეძლევა მხოლოდ თვითმართველობებს (სავალუტო საქონელი მისი აღნიშვნით, რომ დანარჩენ საქონლის გაზიდვა ყველასათვის ნება დაურთველათ დაშვებულია).

რაც შეეხება საზღვარ გარეთიდან საქონლის შემოტანას, მთავრობამ სასტიკი ზომები უნდა მიიღოს, რომ არ იქნას დაშვებული ჩვენი ბაზრის ავსება ფუფუნების და უვარგის საქონლით, რადგანაც ეს გარემოება მძიმე ტვირთად აწვება ჩვენს სავაჭრო ბალანსს.

მთავრობის და თვითმართველობათა მიერ შემოტანილ საქონლის განაწილება უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მომარაგების სამინისტროს ერო-კავშირის, ქალაქთა კავშირის მიერ გამომუშავებულ გეგმის თანახმად.

მთავრობის მიერ ადგილობრივად დამზადება როგორც სურსათის, ისე სავალუტო საქონლისა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ თვითმართველობათა საშუალებით. არსებული რწმუნებულთა ინსტიტუტი კი უნდა იქნეს გაუქმებული, ვინაიდან მათი მუშაობა ერობის დაუხმარებლად წარმოუდგენელია და ერობასთან ერთად კი ზედმეტია, ხელის შემშლელია. ამ შინაურ დამზადებაში კერძო ინიციატივაც უნდა იქნეს გამოყენებული.

სასურსათო საბჭოს შესახებ.

ვინაიდან მთავრობის დადგენილების ძალით ყოფილი ცენტრალური სასურსათო საბჭო ჩაბარდა ერო-კავშირს და ამ გადაცემასთან ერთად უკანასკნელს საშუალება ეძლევა გააცხოველოს თავისი მუშაობა, კომიტეტი საჭიროთ სცნობს:

1) რომ გაუქმებულ იქნას სახელწოდება „ყოფილი ცენტრალური სასურსათო საბჭო“ და ამ დაწესებულების არსებობასთან დაკავშირებული თანამდებობათა სახელწოდებანი: ეცნობოს ეს ყველა ერობებს და ყოფილ სასურსათო საბჭოს პერიფერიულ ორგანიზაციებს და სამინისტროებს.

2) ყოფილი ცენტრალური სასურსათო საბჭოს მთელი მუშაობის განაწილება განყოფილებებით ევალება ერო-კავშირის კომიტეტს. საფუძვლათ უნდა იქნას მიღებული ისეთივე ფორმა ორგანიზაციისა, როგორიც არსებობს ერობებში.

ერობის ორგანიზაციის შესახებ.

1) თათბირი მიზანშეწონილად სცნობს ორ საფეხურიან ადგილობრივ მართველობას—თემის და სამაზრო ერობის—არსებობას.

2) სადაც თემი რამდენიმე სოფლიდან შესდგება, იმ სოფლებისათვის გამოინახოს უფლებრივი ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ იქ წესიერათ მართვა-გამგეობას.

საერობო ბანკის შესახებ.

1) თანახმათ ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობის დადგენილებისა, არსდება საქართველოს საერობო ბანკი.

2) ბანკის მიზანია მიაწოდოს ერობებს თანხები, მათი მოქმედების და განსაკუთრებით საერობო მრეწველობის და აღებ-მიცემობის დასახმარებლად.

3) ბანკი უნდა იქნეს სააქციონერო.

4) სააქციონერო თანხა პირველ ხანებში განისაზღვრება ოცი მილიონი მანეთით.

5) აქციის ღირებულება განისაზღვრება ათასი მანეთით.

6) თათბირი ადასტურებს მეორე ყრილობის დადგენილებას რომ, დამფუძნებელი ბანკისა არის კომიტეტი.

7) აქციების ნახევარზე მეტის მფლობელი მქონე არის ერობები.

ჟურნალის შესახებ.

თათბირმა იქონია მსჯელობა აგრეთვე საერობო ჟურნალის შესახებ და დაადგინა: გამოცემულ იქნას ყოველწლიური საერობო ჟურნალი, სადაც მოთავსებული იქნება მიმოხილვა ერობათა მუშაობისა. გარდა ამისა, დაარსდეს დამოუკიდებელი საერობო ჟურნალი „ერობა“, რომლის ხელმძღვანელობა დაევალოს აღმასრულებელ ორგანოს—კომიტეტს. აღმასრულებელ ორგანოში არჩეულ იქნენ: თავმჯდომარეთ ვ. ჭიჭინაძე, მის მოადგილეთ მ. ახალაძე, წევრებათ: მ. ცაგვაშვილი. თავმჯდომარეს თვეში დაენიშნა 9,000 მან. წევრებს კი—8,000 მან. თვითო.

ს.-დ. პარტიაში

საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიის თფილისის კომიტეტის მოღვაწეობის ანგარიში

(დასასრული)

მეორე რაიონი: წლის დამდეგს კოლექტივში შედიოდა 29 კაცი, მეორე არჩევნების შემდეგ—20. პრეზიდიუმი შესდგება 3 კაცისაგან. ჩვეულებრივი სხდომები იმართება ხუთშაბათობით. არაჩვეულებრივი სხდომა მთელი წლის განმავლობაში მომხდარა სამჯერ. წლის დასაწყისში რაიონში ითვლებოდა 3,000 წევრი. ამავე წელში მიმატებია 614 წევრი. გამოკლებია—1368. პირველი იანვრისათვის 1920 წ. ითვლება რაიონში—2,248 წევრი. არის მოწყობილი ექვსი მცირე კოლექტივი. არსენალში, ერთობის უბანში, ჩუღურეთში, კუკიაში, რკ. გზის სამმართველოში და ტრამვაიში. მცირე კოლექტივების არჩევნები ხდება საზოგადო წესით. არის კარგათ მოწყობილი ქალთა ორგანიზაცია, რომლის წევრთა რიცხვი უდრის 500 ს. რაიონის აზრით პარტიის მუშაობას ხელს უშლის და მეტად აფერხებს პროფესიონალურ მუშაკთა მცირე რიცხვი. რაიონში ყველაფერი თითქმის მდივანზეა მინდობილი და მდივნის მოქმედება კი, ბიუროს ბინას ვერ გასცილებია. მუშაობის ეს წესი მეტად არა სასურველ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მუშაობა ასე თუ ისე მაინც მიმდინარეობდა. იმართებოდა ქარხნებში, ფაბრიკებში და დაწესებულებებში პარტიული და მასიური სხდომები, იკითხებოდა ლექციები, კეთდებოდა მოხსენებები და სხვა. კულტურულ მუშაობის გაძლიერებასაც კოლექტივმა დიდი ყურადღება მიაქცია. რომ უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო ეს მუშაობა, კოლექტივმა გააფართოვა მცირე კოლექტივების თვითმოქმედება, მცირე კოლექტივების ხელმძღვანელობით არსებობს სახალხო უნივერსიტეტი, სამკითხველო, მართავენ წარმოდგენებს და საზოგადოთ სათავეში უდგან ყოველგვარ კულტურულ მუშაობას თავიანთ უბნებში. არსენალში იმართება წარმოდგენები და იკითხება ლექციები. ერთობის უბანში სახალხო გვარდიის შტაბთან ერთად კოლექტივი ხელმძღვანელობს ყველა კულტურულ დაწესებულებას. კუკიის მცირე კოლექტივმა ხელში აიღო [illegible] აუდიტორია. ასევეა ტრამვაის მცირე კოლექტივშიაც.

მეორე რაიონის წევრებს შეადგენს შემთხვევითი პირები. ესენი არიან: მოხელეები, წვრილი ვაჭრები, მილიციონერები, მხედრობა და სხვა. რასაკვირველია, რაიონის ასეთი კონტინგენტი ვერ შექმნიდა მისთვის ხელსაყრელ სამუშაო პირობებს. ეს პირები არ ეწევიან პარტიულ მუშაობას და არ იხდიან თავიანთ დროზე პარტიულ გადასახადსაც. წესიერი მუშაობა სწარმოებს მხოლოდ ქარხნებში. მთელი წლის განმავლობაში რაიონის 2248 წევრთაგან უნდა შემოსულიყო საწევრო თანხა—40 464 მან. ნამდვილათ კი შემოვიდა—16.634 მან. რაიონში ითვლება შემდეგი ქარხნები: ენფიანჯიანცის თამბაქოს ქარხანა, მუშების რიცხვი უდრის—366, მათში ჩვენი პარტიის წევრები—95. „კომეტას" ქარხანა—150 მუშა, ჩვენი წევრები—76. საფაროვის—74, ჩვენი წევრები—54 გარდა ამისა ტრამვაის მუშა-მოსამსახურეთა მთელ რიცხვში, რომელიც ითვლება 1200, ჩვენი წევრები არის—424, რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი—1450, ჩვენი—420. არსენალი და საარტილერიო საწყობი—512 მუშა, ჩვენი—306. კახეთის მევენახეთა საზოგადოებაში—35 მუშა, ჩვენი—29. რაიონის მთელი წლის შემოსავალი უდრიდა—25.118 მ. 10 კ., გასავალი—24.742 მან. 96 კ., რჩება კასაში 1920 წ. 1-ლი იანვრისათვის—1132 მ. 37 კ.

მესამე რაიონი: კოლექტივი შესდგებოდა 11 კაცისაგან. პრეზიდიუმი სამისაგან. კრებები ინიშნებოდა ხუთშაბათობით. მოწყობილი ჰქონიათ ექვსი იაჩეიკა. გაუხსნიათ სახალხო უნივერსიტეტი და მუშათა კლუბი. იმართებოდა ლიტერატურული საღამო და იკითხებოდა სხვადასხვა საგნებზე ლექციები და მოხსენებები. ყოფილა ქალთა ორგანიზაცია. არ ყოლიათ მუდმივი პროპაგანდისტები. პარტიულ მუშაობას რაიონის აზრით ხელს უშლის მუშების მატერიალური მდგომარეობა და ინტელიგენტურ ძალების სიმცირე. [illegible] კოლექტივი არ [illegible] ბოლო ხანებში დაიწყო პარტიული მუშაობა გვარდიაშიც. მოაწყვეს სახალხო უნივერსიტეტი. კულტურულ განმანათლებელი მუშაობა ამ რაიონში კარგათ მიმდინარეობს.

მეოთხე რაიონი. წლის განმავლობაში მოუხდენიათ სულ 49 სხდომა. გარჩეულა 285 სხვა და სხვა კითხვები, მშვენიერად მოუწყვიათ კლუბი, სადაც იკითხებოდა ლექციები, მოხსენებები და სხვა. არის რამოდენიმე მცირე კოლექტივი. კოლექტივი შესდგება 11 კაცისაგან, პრეზიდიუმი ოთხ კაცისაგან. მთელი წლის შემოსავალი ყოფილა 78.675 მ. 63 კაპ., გასავალი—76.642 მ. 37 კაპ., დარჩა კასაში 1920 წ.—2033 მ.

მეხუთე რაიონი. კოლექტივი შესდგება 9 კაცისაგან, პრეზიდიუმი ოთხისაგან. მორიგი სხდომები აქვთ ხუთშაბათობით. სულ წლის განმავლობაში მომხდარა 31 ჯერ მორიგი სხდომა, ოთხიც სასწრაფო და ორი საზოგადო, აქვთ მოწყობილი სამი მცირე კოლექტივი: რკ. გზის სამმართველოში, სადგ. გურჯაანში და საგარეჯოში, არის ორი სამკითხველო და ორი წრე, იკითხება ლექციები, რეფერატები და სხვა. პარტიულ მუშაობას რაიონის აზრით ხელს უშლიდა მომზადებულ ხელმძღვანელთა სიმცირე და საერთოთ დღევანდელი მდგომარეობა. პარტიული გაზეთები ვრცელდება—1200 ცალი. რაიონიდან 150 კაცი ირიცხება გვარდიაში.

მეექვსე რაიონი. მიუხედავათ ამ რაიონისადმი მრავალ მიმართვისა არავითარი ცნობა არ მოდის კომიტეტს. საჭიროა კოლექტივის წევრებმა მიაქციონ ყურადღება ამ მოვლენას.

მეშვიდე რაიონში. კოლექტივი შესდგება 14 კაცისაგან, პრეზიდიუმი სამიდან. მორიგი სხდომები ინიშნება პარასკევობით. არის მოწყობილი ორი მცირე კოლექტივი—[illegible] და [illegible]. არის მუშათა კლუბი და ბიბლიოთეკა. რაიონებში იკითხება მოხსენებები, ვრცელდება 50 ცალი პარტიული გაზეთი. არის ქალთა ორგანიზაცია. არ არის მუდმივი პროპაგანდისტი. რაიონში არსებობს თფილისის სასაკლაოს მუშათა და რკ. გზის რაიონის პროფესიონალური კავშირები. გვარდიელთა შორის პარტიულ მუშაობას წარმოებს შტაბის ფრაქციის ხელმძღვანელობით. მუშაობას ხელს უშლის ცენტრიდან სიშორე. მუშათა კლუბში იდგმება წარმოდგენები და კეთდება მოხსენებები.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ პარტიულ მუშაობას ძლიერ უშლის ხელს მატერიალური სახსრების უქონლობა. საჭიროა პროპაგანდისტები და საზოგადოთ პარტიული პროფესიონალური მოღვაწეები, მარა ამას თანხა სჭირია და ორგანიზაციებისათვის ეს მიუწვდენელი ხდება. პარტიული გადასახადი ისეთი მცირეა, რომ რაიონებს რა გინდ დიდი რიცხვი ჰყავდეს წევრებისა, მათი საწევრო შემოსავლით ისინი მაინც ვერ იარსებებენ. სიძვირე საზღაპროთ იზრდება და საწევრო გადასახადის ასეთი სიმცირე პარტიისათვის ყოვლად მიუღებელია. მართალია, მუშები ძლიერ ცუდ პირობებში იმყოფებიან, მარა სხვა გამოსავალი გზა არ არის.

აქ აღსანიშნავია ერთი მოვლენა: ეს ის, რომ თფილისის ორგანიზაციები იხდიან მეტად უფრო ნაკლებ გადასახადს, ვიდრე პროვინციების მუშები. იქ გადასახადი უდრის საშვალოდ 10 მანეთს თვეში. მაგალითად ქუთაისის მუშები იხდიან მთელ შემოსავლის ერთ პროცენტს. ეს დღევანდელ პირობებში უდრის 30 მანეთს თვეში.

რომ შევადაროთ ჩვენი დღევანდელი გადასახადი იმ გადასახადს, რომელსაც წინათ იხდიდენ მუშები პარტიის სასარგებლოდ—(2—3 პროცენტი) გამოვა, რომ დღევანდელი გადასახადი 30 ჯერ უფრო ნაკლებია ძველზე. დღეს თფილისის ორგანიზაციები ერთი პროცენტის მეათედ-მეათუთხმეტე ნაწილს თუ იღებენ პარტიის სასარგებლოდ. ამ პირობებში, რასაკვირველია, ძნელია პარტიის არსებობა.

"ჩვენ მივადექით იმ დროს, როდესაც პარტიის არსებობა თვით მასზე უნდა იყოს დამოკიდებული, და არა შემთხვევითი საძიებელ საშუალებებზე. მუშათა პარტია იარსებებს მაშინ, თუ მას თვით მუშები შეინახავენ, სხვა გზით მისი არსებობა შეუძლებელია და არც სასურველი.

X.

მუშათა შორის

სურსათზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირში

25 იანვარს შრომის ბირჟის შენობაში შესდგა სურსათზე მომუშავეთა კავშირის 4 სექციის (მეღვინეთა და სარდაფებში მომუშავეთა, ზეთის და საპნის ქარხნებში მომუშავეთა, მეპურე მუშებისა და ხორცზე მომუშავეთა სექციიდან) საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 800 მდე წევრი. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ილია ბადრიძე. კრება დიდის აღტაცებით ეგებება ამხ. ილია ბადრიძის მოხსენებას მოკავშირეთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. დადგენილ იქნა კრების სახელით გაეგზავნოს მისალოცი დეპეშები: დამფუძნებელ კრებას, მთავრობას, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს და აზერბაიჯანისა და სომხეთის მუშათა კლასის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრს.

კავშირების ერთ კავშირში გაერთიანების შესახებ გამგეობის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ფანცხავა. ის აცნობს კრებას, რომ პროფესიონალურ კავშირთა მოძრაობაში აღნიშნულია გაქრობა ისეთ პროფესიონალურ კავშირებისა, რომელიც დღეს სურსათზე მომუშავეთა კავშირმა შემოიერთა. ასეთი კავშირები ევროპაშიაც და რუსეთშიაც, როგორც ბრძოლის ეკონომიური და პოლიტიკური ბაზა ხშირათ ქრებოდენ, ეკარგებოდათ მათ აქტიური მუშაობის უნარი და დამხმარე კასების სახეს იღებდენ, მაგრამ დამხმარე კასები ვერ ასრულებდენ პროფესიონალურ კავშირთა დანიშნულებას სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში. პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ მიზნათ დაისახა თფილისის ერთგვარ წარმოებების მუშათა პროფ. კავშირების ერთ კავშირში გაერთიანება. ამ მხრით ოცდა ხუთ დეკემბერს მოხდა გაერთიანება და დროებითი გამგეობის არჩევნები. დროებითი გამგეობამ გადასწყვიტა—მიეცეს უფლება სექციებს წვრილი საკითხები თვითონ ავტონომიურად აწარმოვონ, მხოლოდ პრინციპიალური საკითხები კავშირმა უნდა გადასწყვიტოს. თანხები და ინვენტარი უნდა გადაეცეს გაერთიანებულ კავშირის კასას. საერთო საწევრო გადასახადი თითოეულ წევრთათვის უნდა იყოს 2 პროცენტი.

გამგეობამ გადასწყვიტა ყველა იმ სექციებისათვის, რომლებიც კავშირმა შემოიერთა, შემუშავებულ იქნას საერთო და მათთვის სავალდებულო კოლექტიური ხელშეკრულება, რომელიც გაანაყოფიერებს კავშირის მომავალ მუშაობას და ბოლოს მოუწოდებს ამხანაგებს ენერგიულ მუშაობისაკენ, რაიც გამოიწვევს კავშირის წევრთა კულტურულად აღორძინებას. კრებამ ხანგრძლივი ტაშის შემდეგ დაადასტურა გამგეობის მოქმედება.

სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ბოკერია, რომელიც აღნიშნავს, რომ გამგეობის მოქმედება ხანმოკლე იყო და ამიტომაც სარევიზიო კომისიას არ შეუძლია რაიმე დასკვნა მოგაწოდოთ. საყურადღებოა მხოლოდ გამგეობის მიერ 2 პროცენტიან გადასახადი და კასების გაერთიანება, სადაც ამ დრომდე შემოვიდა დაახლოვებით 30,000 მანეთამდე.

მუშათა დაზღვევის შესახებ შრომის სამინისტროს სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ელბაქიანი. ის აღნიშნავს, რომ ამ დარგში არ არის გატარებული ის პირობები საერთო დაზღვევისა, რომელიც ამ ჟამათ არსებობს სხვა კავშირის წევრთათვის. ის აღნიშნავს მოკლედ დაზღვევის მნიშვნელობას და ამბობს, რომ თფილისში მუშათა სისტემატიურად დაზღვევისათვის დაარსებულია ქალაქის საერთაშორისო საავადმყოფო კასა, რომლის წევრთა დადგენილებით მუშამ უნდა შეიტანოს გადასახადი იმდენი, რამდენიც [illegible] თვით მეპატრონეთ, რომ მუშა ავათმყოფობის დროს უზრუნველყოფილი იყვეს ზემო აღნიშნულ კასიდან. დახმარება აქვთ აგრეთვე ორსულ ქალებს ორი კვირის განმავლობაში. ხსენებული კასა დახმარებას უწევს აგრეთვე გარდაცვლილთა ოჯახებს 20—30 დღის ჯამაგირის მიცემით. მომხსენებელი მოუწოდებს ყველას ხსენებულ კასის წევრათ ჩაეწერონ. შემდეგ მოხდა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები. გამგეობაში არჩეულ იქნა 21 წევრი და 7 კანდიდატი. სარევიზიო კომისიაში 5 წევრი და 3 კანდიდატი.

X.

რეზოლუცია მიღებული შეერთებული საზოგადო კრებისა საარტილერიო საწყობის და არსენალის მუშა-მოსამსახურეების მიერ 24 იანვარს 1920 წ.

არსენალის და საარტილერიო საწყობის მუშა-მოსამსახურეთა შეერთებულმა მრავალ-რიცხოვანმა კრებამ მოისმინა რა მოხსენებები ამხ. ის. რამიშვილისა და [illegible], რომლებმაც მრავალი ფაქტებით დაამტკიცეს და ნათელ-ჰყვეს აუცილებლობა ჯერ ამიერ-კავკასიის რუსეთიდან ჩამოშორებისა და შემდეგ კი ამიერ კავკასიის სამ რესპუბლიკათ გარდაქმნისა, ერთხმათ სრული შეგნებით აღიარებს: ისტორიულმა მიმდინარეობამ და კარგმა [illegible] ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელი პირები ჩამოაშორებდენ რუსეთს, ხალხის ფიზიკურათ გადარჩენისათვის საქართველოს ხელმძღვანელნი და პარტია იძულებული შეიქნა: შეექმნა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა, ასე რომ მათმა მოქმედებამ გამოიღო ის დიდი ნაყოფი, რომელმაც შეგვინარჩუნა ფიზიკური არსებობა და დემოკრატიული წყობილება. ასეთი ღვაწლისათვის თავის ერის წინაშე კრება ერთხელ კიდევ გულითადს და მხურვალე მადლობას უცხადებს ჩვენს ხელმძღვანელ პირებს და პარტიას.

ამასთან ერთად კრება მხურვალეთ მიესალმება რესპუბლიკის მთავრობას და დამფუძნებელ კრებას, საქართველოს რესპუბლიკის ევროპის საერთო ოჯახში ჩარიცხვის გამო.

ა. ჩ.

პროვინცია

გარეთ კახეთი. 30 დეკემბერს, 12 ს. დანიშნული იყო კრება საგარეჯოს, მარტყოფის და იორის თემის წევრთა იორის თემის ბინაზე. გასარჩევი იყო: 1) მოხსენებები თემებიდან, 2) თემთა დემოკრატიულობა, 3) თემების ფინანსიური მხარე, 4) საქართველოს რესპუბლიკის თემთა გამგეობების ყრილობების მოწვევის საკითხი. 5) პურის და სურსათის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, 6) ლტოლვილების და სოფლათ გლეხების საკითხი, 7) სამაზრო ერობის ახალი არჩევნები. დაადგინეს: 1) ეთხოვოს ერობის საშუალებით მთავრობას გაუხსნას ზემოხსენებულ თემებს საჭირო კრედიტი, გარდა იმ პროცენტებისა, რომელიც შემოუვლით თემებს [illegible] გადასახადებიდან. მოხსენება გააკეთა მარტყოფის თემიდან ა. ფურცელაძემ, საგარეჯოს თემიდან ლ. ბადრიძემ და იორის თემიდან ვ. მაისურაძემ მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ თანდათან თემების შემოქმედებითი მოძრაობა ფართო ხასიათს იღებს, მხოლოდ ხელს უშლის ყოველივე ამას უსახსრობა და ენერგიულ მუშაკთა ნაკლებობა. 2) რაც შეეხება თემთა დემოკრატიულობის საკითხს, დაადგინეს: თემის გამგეობა ერთი მეორის მიწერ მოწერას და მოწმობებს უნდა უწევდეს სერიოზულ ანგარიშს, ხოლო გამგეობის წევრნი უნდა ფრთხილობდენ, რათა მათი მიწერ მოწერა და მიცემული მოწმობები, იყოს პასუხისმგებლობითი, დედანთან სწორი და მიზანთან შეწონილი. 3) თემთა ეკონომიის და უსახსრობის შესახებ გამოითქვა: თვითეულმა თემმა თავის ფარგლებში მოაწყოს სამრეწველოები, რითაც საარსებო სახსარი მიეცემა თემს. მაგალითად იორის თემი უკვე კი ხანია შეუდგა ნახშირების წვას, რომელსაც აწვდის ხელსაყრელ ფასებში თფილისის მაზრის ერობას. მეოთხე საკითხის შესახებ დაადგინეს: მიეთხოვოს საორგანიზაციო კომისიას დააჩქაროს საქართველოს რესპუბლიკის თემთა გამგეობის წევრთა ყრილობის მოწვევა, რომელიც აუცილებელია ერთნაირი მუშაობისთვის და დადგენილებების გამოტანისთვის. 5) პურის და სურსათის ყიდვა-გაყიდვის შესახებ დაადგინეს: ყოველივე ნაწარმოები თავისუფლათ იყიდებოდეს პირდაპირ მომხმარებლებზე და ჩარჩებს არ მიეცეთ მოწმობები პურის ყიდვა-გაყიდვისა. 6) სამაზრო ერობის ახალ არჩევნების შესახებ შეიღეს შემდეგი: რადგან დღეს ძალიან ძნელია ტექნიკურათ და ფინანსიურადაც არჩევნების მოხდენა, ამისთვის საჭიროა მისი გადადება. 7) რაც შეეხება ლტოლვილებს, რომელნიც მოედენ სოფლად და მათხოვრობენ, ავათმყოფნი, ჭუჭყისაგან გაპობილნი, რაც წარმოადგენს ერთ სენთაგანს, ამასთან არიან ზოგნი უცხო სახელმწიფოსანი და მასთან არიან ჯანსაღნიც, რომელნიც პარაზიტათ არიან გადაქცეულნი და ავრცელებენ ეპიდემიას—ამისათვის დაევალოს, როგორც თემის მილიციის უფროსს, ისე სოფლის და სხ. ადმინისტრაციას მის გასაწმენდათ მიიღონ შესაფერი ზომები. კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ ყოველივე თემთა ყრილობების დადგენილებები ეგზავნებოდეს, როგორც თფილისის მაზ. ერობას, აგრეთვე ახლო თემიდგან თემებს. ეს გარემოება შეაკავშირებს თემებს და ერთი მეორეს გაათვითცნობიერებს. იყო კამათები სხვათა შორის რაიონის მილიციის უფროსის და მის შემადგენლობის დამოკიდებულების შესახებ, რადგან გარემოება სასურველათ არ უწყობს ხელს მათ მუშაობას—ეს საკითხი მოხსნეს და გადადეს საქართველოს რესპუბლიკის თემთა გამგეობების ყრილობის მოწვევამდე.

ვ. მაისურაძე.

ახალციხე. ახალციხეში არაჩვეულებრივი კარგი დარებია. სანოვაგეც შედარებით სხვა ქალაქებთან იაფია: პური—8 მან., თეთრი—15 მ. კარტოფილი—3 მან. ერბო—80 მ., ქათამი 40—50 მან. და სხ. აქაურებს გასართობი ადგილიც ბევრი აქვთ: კლუბი, თეატრები. დაარსდა ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დასი, სადაც იღებენ მონაწილეობას მსახიობი ქ. ერემოვისა და ძველი თფილისის სცენის მოყვარე ილ. ჯაჯანაშვილი. დასმა თავმჯდომარეთ აირჩია ექიმი გ. პეპელიძე, მის ამხანაგათ ლ. ფილავა, მდივნათ გ. თეთრაძე, ხაზინადრათ ქ. ერემოვისა და რეჟისორათ ილ. ჯაჯანაშვილი. დასს განძრახვა აქვს ქალაქში მოაწყოს საუკეთესო სცენა და მართოს ყოველ კვირა ქართული წარმოდგენები, ხალხი სიამოვნებით ეგებება ამ საქმეს და მატერიალურადაც ხელს უწყობს.

მეთვალყურე.

წერ. რედაქციის მიმართ

თქვენი გაზეთის მეათე ნომერში დაბეჭდილია ანგარიში მასწავლებელთა ყრილობისა, რომელშიაც ვკითხულობთ ბ-ნ ქადაგიძის ნათქვამს: თუშ-ფშავ ხევსურეთში მხოლოდ სამი სკოლა არისო და იქაც მეცადინეობა არ არის ხანდახანო. იქვე არის ამავე შინაარსის მოწინავე: თიანეთის მაზრაში მხოლოდ სამი სკოლა არისო. ნება გვიბოძეთ შემდეგი განვაცხადოთ.

ბ-ნი ქადაგიძე არ იყო თიანეთის მაზრის წარმომადგენელი. ამ მაზრიდან ყრილობას არავინ დასწრებია: მასწავლებელთა კავშირი აქ არ არსებობს; პირადათ მე ვერ დავესწარი ყრილობას ოჯახური მიზეზების გამო.

ბ-ნი ქადაგიძე თელავის მაზრიდან ბრძანდება, ფშავ ხევსურეთის ამბები მას სისწორით არ სცოდნია. თიანეთის მაზრაში, ერობამ მკვდრეთით აღადგინა ამ შემოდგომიდან დღემდე 12 დახურული და ერთიც უმაღლეს დაწყებითი სკოლა. ასე რომ, ჩვენ 13 სკოლა გვაქვს და არა სამი, როგორც ამას ბ. ქადაგიძე ბრძანებს. საკუთრად თუშებს აქვს ქვემო და ზემო ალვანის სკოლები; ესენი თელავის მაზრის ნაწილს შეადგენენ და აქ ფშავ-ხევსურეთი არ არის. თუ ბ. ქადაგიძე მთის თუშეთის შესახებ ამბობს, იქ სკოლა მართლა არ არის, მაგრამ იქ მცხოვრებნიც აღარ არიან: მთიდან თუშები ბარში ჩვევიან და ესახლებიან ძველ ადგილებზე, მთებში, მხოლოდ ზაფხულობით და თუ ადიან. ფშავ-ხევსურეთი სხვა არის და იქ ბ. ქადაგიძე, მგონია, გზადაც არ დაბრძანდება. ჩვენ კი ერობის თავმჯდომარესთან ერთად უკვე მოვიარეთ ფეხდაფეხ ეს ადგილები.

სკოლის საქმე, მართალია ჯერ ვერ არის აქ სათანადოთ დაყენებული, მაგრამ არც ისე [illegible] არის, როგორც ამას ხატავს ბ. ქადაგიძე სკოლის რიცხვის ერთი ოთხად შემცირებით. სწარმოებს თანდათანობითი მუშაობა ამ საქმეში და თიანეთის ერობას იმედი აქვს სასურველ ნაყოფსაც მიიღებს ამ მუშაობისგან. ჩვენ საამისო ანგარიში დავბეჭდეთ „საქ. რესპ."—№ 292, 293 და 294-ში. ეს წერილები, მგონია ჟურნალ „განათლებასაც" გადაუბეჭდია და კარგს იზამს ბ. ქადაგიძე თუ იმათ გადათვალიერებს: მაშინ ის დაინახავს, რომ ხანდახან არამკითხე მოამბესაც არ აწყენს ხოლმე ციფრებს ანგარიში გაუწიოს.

თიანეთის სამაზრო ერობის სკოლების ინსტრუქტორი ვარდენ ჩხაიძე *).

სამედიატორო სასამართლოს განაჩენი გიორგი სვანიძესა და ვანო კანდელაკს შორის მომხდარ ინციდენტის გამო.

განიხილა რა სამედიატორო სასამართლომ ყველა საბუთები, წარმოდგენილი ორივე მხარის მიერ, და აგრეთვე კოოპერატივ „აღორძინების" ყოფილ გამგეობის ოქმები, დაადგინა: ვინაიდან ამ ოთხი წლის წინეთ მომხდარ საქმეში არ სჩანს არავითარი ბოროტმოქმედება, ეს საქმე არ იძლევა საბუთს იმისას, რომ გ. სვანიძე აღიარებულ იქნას ბოროტმოქმედათ; ხოლო სამსახურიდან მისი დათხოვის მიზეზი ყოფილა ის, რომ მას სამსახურის ასრულების დროს ვერ გამოუჩენია შესაფერი ენერგია, ამიტომ სამედიატორო სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია ორივე ამხანაგებმა დაივიწყონ პირადი შური და მტრობა და ძმურად განაგრძონ თანამშრომლობა იმ საქმეში, რომელსაც ისინი ემსახურებიან.

წევრები: გ. ზახტაძე, ვასო ჯაშუაშვილი, ს. ჯაკაძე, ოსიტოვი.

ფოსტა

ოზურგეთი. ექ. ს. ვ. აბაშიძეს. სექიმო განცხადება თვიურად ღირს 410 მანეთი. კიდევ უნდა დაუმატოთ 200 მანეთი.

---

*) „ერთობის" მოწინავე ეყრდნობოდა მასწავლებელთა ყრილობაზე დელეგატის ბ. ქადაგიძის ოფიციალურ განცხადებას. გაზეთმა არ იცოდა, თუ ბ. ქადაგიძე ამ მაზრის დელეგატი არ იყო და შეცდომაც იმიტომ მოხდა, რასაც სიამოვნებით ვასწორებთ. რედ.

განცხადებანი

გამოცდილნი მასწავლებელნი
— ამზადებენ —
სეკტემბრისათვის 2,3,4,5 კლასში. შესაძლებლად ყველა სასწავლებელში და აფთიაქის შეგირდად. მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი 25, შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5, ტელ. 3—61.
(347—2—1)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
გ. გ. მეჰრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექის ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.
3230—თ.

ექიმი
გ. ი. მირი[illegible]
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრეევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 87. [illegible] ახლო.

ექიმი ა. დ. კეკელიძე
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28.
(154—თ.)

ექიმი
ნ. ლ. ცურიაშვილი
იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმ ნავასარდიანისა
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დაფუძნ. 1880 წ.
ყოველ დღე კვირის გარდა.
„606" და „914" 11—12 საათ.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ხირურგ. და ვენ. ავად. (სიფილისი).
გ. მ. ამახარაძე—10—12 ს. შინაგ. ნერვ. და ბავშვთა ავად. ელექ.
გ. მ. [illegible] 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.
კარაპეტ-ბებურიშვილი—12—1 საათ. (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.
ე. ა. [illegible]—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).
ტერ-გრიგორიანი—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.
ღარიბებს დარიგება უფასოდ.
საავადმყოფოს დირექტორი
(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო
ექ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 14
ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს" გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები
(თ. 218)

ექიმი ვ. მ. მშინარიშვილი
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—37.
(114—თ.)

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28
(თ. 3065).

დოქტორი მედიცინის
ა. ა. მონსე
სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით გიპნოზით და შთაგონებით. ავათმყოფობანი კუჭისა, სიდამბლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10½—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღება ავადმყოფები. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ. 13—42. (თ.—3)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 საათ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი
ს. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი.
(თ. 3322)

ექიმი ნ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და [illegible] (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით [illegible]. მისამართი: [illegible] ქუჩა № 32.